ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები “

მერი მეხრიშვილი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხების კვლევა

(შიდა ქართლის რეგიონის საჯარო და კერძო სკოლების მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი
თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომი ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხებს. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, ვერც ერთი კვლევა ვერ მოვიძიეთ, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო სივრცეში. ძირითადად, როდესაც ვეხებით აკადემიური თავისუფლების საკითხებს, აქტუალურია უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლება და არაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლება, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ნაშრომი, ამ მხრივ, სიახლეა.

საერთაშორისო დოკუმენტთა შეჯამების საფუძველზე, გამოგვაქვს დასკვნა, რომ აღნიშნული ტერმინი თავის თავში მოიცავს: სწავლების, კვლევის, უსაფრთხოებისა და სასკოლო მმართველობით საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია სწავლებისა და განათლების პროცესში. ეს კი ხაზს უსვამს ჩვენი საკვლევი თემის **აქტუალობას.**

თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად, შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა:** გამოკითხულ მასწავლებლებელთა უმრავლესობისთვის ტერმინი უცხოა და უჭირთ აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვრა.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია,** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების კვლევა, კერძოდ:

- როგორ ესმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელს აკადემიური თავისუფლება;
- აკადემიური თავისუფლების განმსაზღვრელი კომპონენტებიდან - სწავლება, კვლევა, ორგანიზაციული მართვის საკითხები- რომელ ნაწილში აქვს, ან არ აქვს მას აკადემიური თავისუფლება;
- რა ფაქტორები/მიზეზები განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების ხარისხს.

დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, ლიტერატურა, საერთაშორისო
  სახელისუფლებო დადგენილებები;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- თვისებრივი, ემპირიული კვლევის ჩატარება;
- დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება.

ნაშრომის **კვლევის საგანია,** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხები, ხოლო **ობიექტი** - საჯარო და კერძო სკოლებში მომუშავე მასწავლებლების აკადემიური თავისუფლების რელიზების პროცესი.

ნაშრომში გამოვიყენეთ **თვისებრივი კვლევის მეთოდი,** კერძოდ, მეორადი ინფორმაციის ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუ. რეგიონებიდან მიზნობრივად შეირჩა შიდა ქართლი, ყველა რაიონი(თბილისი, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური). თითოეული რაიონიდან გამოვკითხეთ 2-2 მასწავლებელი, ხოლო დედაქალაქიდან 4 - ორი კერძო და ორი საჯარო სკოლის მასწავლებელი. აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

Study of Academic Freedom of teachers of secondary school

(On the example of public and private schools in Shida Kartli region)

Meri Mekhrishvili

Annotation

The following Master's thesis concerns on the Academic Freedom of secondary school teachers. It is important to note that we could not find any research on the Academic Freedom of teachers in Georgia as well as in the international area. Mainly, when we are focused on the Academic Freedom issues, academic freedom of teachers of high school is relevant topic and the Academic Freedom of secondary school teachers is not/never mentioned, so it can be said, that this thesis is a novelty in this regard.

Based on the summarization of international documents, we made the conclusion that the term itself includes teaching, research, security and school management issues that are the most important part of the teaching and education process. This at the same time emphasizes the importance of our research topic.

As a result of interest of the topic and preliminary research, we developed **hypothesis:** For most of the interviewed teachers the term is unknown and it is difficult for them to determine the content of academic freedom.

The aim of the Master's thesis is to study the academic freedom of the secondary school teacher. Namely:

- How does the teacher understand academic freedom?
- From the components which are defining academic freedoms – teaching, research, organisational management issues, - in which part does a teacher have/or have not academic freedom.
- What factors / reasons determine the degree of academic freedom of the teacher.

We set the following **tasks**:

- Board research: existing research, literature, international and governmental resolutions;
- Determination of research methodology;
- Develop a research instrument;
- Conduct qualitative, empirical research;
- Develop conclusions and recommendations.

The subject of the thesis is the issue of Academic Freedom of teachers in secondary schools. **Object** - Process of the academic freedom realization of teachers working in public and private schools.

In the following thesis the qualitative research **method** was used, in particular, analysis of secondary information and in-depth interviews. All regions of Shida-Kartli were selected as a target. (Tbilisi, Kaspi, Gori, Kareli, Khashuri) From each region we interviewed 2 teachers and 4 teachers from the capital. Two were private school teachers and two public school teachers. The results of this research are presented in this work, in details.

სარჩევი

შესავალი 7

თავი: I მასწავლებლის პროფესიის რაობა, მოვალეობები, ფუნქციები და თავისუფლებები 11

თავი:II აკადემიური თავისუფლების იდეის წარმოშობისა და განვითარების ისტორია (უცხოური და ქართული გამოცდილება) 19

§2.1 აკადემიური თავისუფლების განმარტების საკითხისათვის 19

§2.2. უცხოური გამოცდილება 23

§2.3 ქართული გამოცდილება 27

კვლევითი ნაწილი 31

დასკვნები 533

რეკომენდაციები 566

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი1

დანართი 2

შესავალი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიურ თავისუფლებას, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო ცხოვრებაში, რადგანაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია სწავლების პროცესზე, მოსწავლეთა შეფასებისა თუ სასკოლო მმართველობით საკითხებზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, ვერ მოვიძიეთ კვლევები. ძირითადად, როდესაც ვეხებით აკადემიური თავისუფლების საკითხებს, აქტუალურია უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლება და არსადაა ნახსენები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლება. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ნაშრომი, ამ მხრივ, სიახლეა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამაგისტრო ნაშრომი ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხებს. შევისწავლეთ რა აკადემიური თავისუფლება სხვადასხვა დოკუმენტების მიხედვით, აღვნიშნავთ, რომ აკადემიური თავისუფლება მოიცავს: სწავლების, კვლევის თავისუფლებას, უსაფრთხოებასა და სასწავლო მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებას. ნათელია, რომ სწავლება, კვლევა და სასწავლო პროცესის მართვაში მონაწილეობა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის ბირთვს წარმოადგენს, რომლის მიზანმიმართული განხორციელება განაზღვრავს სასწავლო - საგანმანათლებლო პროცესის ხარისხსა და ავკარგიანობას. ამდენად, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების უპირველესი მიზანი უნდა იყოს მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა და დაცვა, რათა პიროვნებამ, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, სრულად შეძლოს თვითგამოვლენა და პროცესის შემოქმედებითად წარმართვა. თუ საკითხი ასეთი მნიშვნელობისაა, ცხადია, საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების კვლევა ძალზე **აქტუალურია**, მით უფრო დღეს, როცა ქვეყანაში სკოლის ფუნქციონირების უამრავი პრობლემა სახეზეა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა მოძიებული ინფორმაცია თუ განმარტება საკვლევი თემის ირგვლივ, უკავშირდება უმაღლესი სკოლის მასწავლებლის აკადემიურ

თავისუფლებას და, ცხადია, გაგვიჩნდება კითხვა - რატომ არ ექვემდებარება აღნიშნული საკითხი განხილვას? ვფიქრობთ, რომ არარსებული დოკუმენტების მიუხედავად, მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხები, შინაარსობრივად გაფანტულია ზოგადი განათლების კანონში, ამიტომაც მიგვაჩნა ეს საკითხი მნიშვნელონად და მისი კვლევა აუცილებლობად. თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა:** გამოკითხულ მასწავლებლებელთა უმრავლესობისთვის ტერმინი უცხოა და უჭირთ აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვრა. სამაგისტრო ნაშრომის **მიზანია** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების კვლევა. კერძოდ:

- როგორ ესმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელს აკადემიური თავისუფლება;
- აკადემიური თავისუფლების განმსაზღვრელი კომპონენტებიდან - სწავლება, კვლევა, ორგანიზაციული მართვის საკითხები- რომელ ნაწილში აქვს, ან არ აქვს მას აკადემიური თავისუფლება;
- რა ფაქტორები/მიზეზები განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების ხარისხს.

დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, ლიტერატურა, საერთაშორისო და სახელისუფლებო დადგენილებები;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- თვისებრივი, ემპირიული კვლევის ჩატარება;
- დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება.

ნაშრომის **კვლევის საგანია** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებელთააკადემიური თავისუფლების საკითხები. **ობიექტი** - საჯარო და კერძო სკოლებში მომუშავე მასწავლებლების აკადემიური თავისუფლების პროცესი.

ნაშრომში გამოვიყენეთ **თვისებრივი კვლევის მეთოდი,** კერძოდ, მეორადი ინფორმაციის ანალიზი და ჩაღრმავებული ინტერვიუ. მიზნობრივად შეირჩა შიდა

ქართლი, ყველა რაიონი(თბილისი, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური). თითოეული რაიონიდან გამოვიკითხეთ 2-2 მასწავლებელი, ხოლო დედაქალაქიდან 4 - ორი კერძო და ორი საჯარო სკოლის მასწავლებელი. აღნიშნული კვლევის შედეგები დეტალურადაა მოცემული წინამდებარე ნაშრომში.

კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ გამოკითხული მასწავლებლებისთვის ტერმინი უცხოა და აქამდე არ ჰქონიათ ინფორმაცია, აღნიშნულის შესახებ, თუმცა უმრავლესობას არ უჭირს ტერმინის შინაარსის განსაზღვრა. შესაბამისად, კვლევის ჰიპოტეზა: **გამოკითხულ მასწავლებლებელთა უმრავლესობისთვის ტერმინი უცხოა და უჭირს აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვრა** ნაწილობრივ გამართლდა.

გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური თავისუფლება რამდენიმე კომპონენტს მოიცავს: სწავლების, კვლევის, უსაფრთხოების, სამუშაო ვადების შეთანხმებისა და სკოლის მართველობით საკითხებს. შევამოწმეთ რა ხარისხით ჰქონდათ შიდა ქართლის რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებს თითოეულ კომპონენტში თავისუფლება და მივიღეთ შემდეგი:

- **სწავლების კომპონენტში** - სასწავლო მეთოდებისა და დამატებითი საგაკვეთილო მასალის შერჩევა, მასწავლებლები თავისუფალნი არიან, ხოლო შეფასების ნაწილში განიცდიან ზეწოლას.
- **კვლევითი ნაწილიდან** ვიგებთ, რომ გამოკითხული მასწავლებლებიდან მხოლოდ 2-ს აქვს ჩატარებული პრაქტიკის კვლევა და, როგორც ამბობენ, კვლევით პროცესის წარმართვასა და შედეგების გამოქვეყნებაში თავისუფალნი იყვნენ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ის გამოკითხული მასწავლებლები ცნობენ კვლევის მეთოდებს, რომლებსაც ჩატარებული აქვთ პრაქტიკის კვლევა.
- **უსაფრთხოება და სამუშაო ვადები** - ამ კომპონენტში, ჩვენ ვგულისხმობთ უსაფრთხო გარემოს, რომელშიც მასწავლებლის ჯანმრთელობა და იქნება დაცული. გარდა ამისა, გარანტიას, რომ თავისუფალი სიტყვის გამოხატვისა თუ პოლიტიკური ორიენტაციისდა გამო, საფრთხე არ შეექმნება ხელშეკრულების შეწყვეტას. მივიღეთ შედეგი, რომ შიდა ქართლის რეგიონის გამოკითხულ მასწავლებლებელთა უმეტესობისთვის ჯანმრთელობა დაცულია, თუმცა ფიქრობენ, რომ სიტყვის თავისუფლება არაა დაცული და ამის გამო, შესალოა საფრთხე შეექმნას მათ სამსახურს.

სამუშაო ხელშეკრულების დარღვევის არცერთი შემთხვევა არ გვაქვს საჯარო სკოლებში მომუშავე მასწავლებლების შემთხვევაში, ხოლო კერძო სკოლის შემთხვევაში დარღვევა გამოიხატება ხელფასების დაგვიანებაში.

- **სასკოლო მმართველობით საკითხებში მონაწილეობის უფლება** - ამ კომპონენტში მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების ნიშნული შედარებით დაბლა იწევს, რადგანაც გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა არაა ჩართული სასკოლო მმართველობით საკითხებში, ძირითად შემთხვევაში დირექცია წარმართავს სამეურვეო საბჭოს სხდომებს.

თავი: I მასწავლებლის პროფესიის რაობა, მოვალეობები, ფუნქციები და თავისუფლებები

მასწავლებლობა ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა. იგი წარმოიშვა ჯერ კიდევ პირველყოფილურ საზოგადოებაში. ცნობილია, რომ თემური საზოგადოების განვითარებამ განაპირობა ორგანიზებული აღზრდის საჭიროება, რისთვისაც თემი გამოჰყოფდა თემის უხუცეს წევრს, რომელსაც უნდა მოემზადებინა მოზარდები, რათა ისინი გამხდარიყვნენ თემის სრულფასოვანი წევრები. მონათმფლობელურ საზოგადოებაში კი უკვე მასწავლებლებს უხდებოდათ სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სკოლაში, ბავშვების მიღება და მათი აღზრდა.

სხვადასხვა ეპოქაში, მასწავლებელი მოიხსენიებოდა განსხვავებულად. მასწავლებლის სინონიმი იყო: მზრდელი, გამზრდელი, აღმზრდელი, მზარდელი, მწურთნელი, მასწავლელი, განმსწავლელი, მოძღუარი. *"ძველ საბერძნეთში კი თავდაპირველად პედაგოგად იწოდებოდა ის პირი, რომელიც სკოლაში ატარებდა თავისი ბატონის შვილს, მოგვიანებით კი, წარმოადგენდნენ დაქირავებულ პირებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მოზარდის აღზრდასა და სწავლებას"* [ქ.ჭკუასელი, ი.ჭკუასელი, 2012:6].

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, (1986) მასწავლებელი არის პირი, რომელიც ასწავლის სკოლაში რაიმე საგანს. იმისთვის, რომ გავიგოთ ვინ არის მასწავლებელი, მნიშვნელოვანია, გავეცნოთ პედაგოგთა მოსაზრებებს მასწავლებლის შესახებ, თუ რა თვისებებისა თუ ცოდნის მატარებელი უნდა იყოს იგი.

სოკრატეს აზრით, მასწავლებელმა ისეთი პირობები უნდა შეუქმნას მოსწავლეს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ნიჭისა და შესაძლებლობათა გამოვლენას. სოკრატე მასწავლებლის მიერ მოწაფის ინტელექტუალური ძალების ამოქმედებასა და განვითარებას „მეორე დაბადებას" უწოდებდა. მისი აზრით, როგორც ათენა იშვა ზევსის თავიდან, მასწავლებელსაც ასევე უნდა შესწევდეს უნარი მოსწავლის თავიდან ჭეშმარიტების დაბადებისა. ამას ის მასწავლებელი შეძლებს, რომელსაც კარგად აქვს შესწავლილი მეცნიერება და თავისი აღსაზრდელი (ნ.ვასაძე; 1988).

პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელი, კომენსკი, მასწავლებლის თვისებათა

შორის, პირველ რიგში, აყენებს საქმის ერთგულებას, ენციკლოპედიურ განათლებას, ზნეობრივ სიწმინდეს, ღვთისმოსაობასა და ბავშვის სიყვარულს. იან ამოს კომენსკი ხაზს უსვამს მასწავლებლის მოღვაწეობის, აღზრდის როლს, მის გარდამქმნელ ძალას პიროვნებისა და საზოგადოების ფორმირებაში. კომენსკის აზრით, მასწავლებელმა პირადი მაგალითით უნდა აღზარდოს მოსწავლე, რადგან *"არაფერი არაა უფრო ბუნებრივი, ვიდრე ის, რომ უკან მიმდევარნი წინ მიმავლის კვალს მიჰყვებოდნენ"* [ნ.ვასაძე, 1988:74].

საყურადღებოა, აგრეთვე, რუსოს შეხედულებანი მასწავლებლის დანიშნულების შესახებ. მისი აზრით , მასწავლებელი უნდა იყოს ნიმუში აღსაზრდელისთვის და ის უნდა ცხოვრობდეს მისი ცხოვრებით *„აღმზრდელი არის, ადამიანურობის სახელოსნოს ოსტატი“* [ნ.ვასაძე; 1988:95].

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგობა ურთულესი პროფესიაა. ის მოითხოვს ძალიან ბევრ ასპექტს, ანუ პიროვნება, რომელიც მიდის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამუშაოდ, საკუთარი საგნის ცოდნის გარდა, რიგ მახასიათებლებს უნდა ფლობდეს. საგნის სრულფასოვანი ცოდნით მასწავლებელი ვერ იქნები, ვერ შეხვალ პროფესიაში, რადგანაც მასწავლებლობა არის პროფესია, რომელსაც ვერ ისწავლი თუ შინაგანი მოწოდება არ გაქვს. შეუძლებელია აღზარდო ადამიანური თვისებების მატარებელი ადამიანი, თუ შენ თვითონ არ გაქვს იგი. თუ ერთდროულად არ ფლობ, როგორც საქმისა და ბავშვებისადმი სიყვარულს, ისე პროფესიონალიზმს, ვერ შედგები კარგ მასწავლებლად.

ანტიკური პერიოდიდან დაწყებული, განათლება სამართლებრივად სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სახელწიფოებრივ ხასიათს ატარებს. ამას სპარტისა და ათინას მაგალითიც გვიდასტურებს. თუ სპარტის შემთხვევაში სახელმწიფო აღმზრდელს უყენებდა იმის პირობას, რომ მას სჭირდებოდა, პირველ რიგში, ფიზიკურად აღზრდილი მოქალაქე, ათინას შემთხვევაში, პირიქით იყო, გონებრივი აღზრდა წინა პლანზე იდგა, რადგანაც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ათინა არ საჭიროებდა ისეთი სამხედრო ფიზიკური მომზადების მქონე მოქალაქის აღზრდას, როგორც სპარტა.

სხვადასხვა ეპოქაშიც სახელმწიფოს დამოკიდებულება განსხვავებული იყო მასწავლებლის პროფესიისადმი. მივყვეთ ქრონოლოგიურად. მონათმფლობელურ საზოგადოებაში მხოლოდ მონათმფლობელს ჰქონდა სწავლა-განათლების უფლება და მონათა შვილები ადამიანებადაც არ აღიქმებოდნენ. მასწავლებლები წარმოადგენდნენ დაქირავებულ პირებს, რომლებსაც უნდა მოემზადებინათ მონათმფლობელის შვილები. ფეოდალურ საზოგადოებაში კი, როდესაც უკვე ქრისტიანული რელიგია განვითარდა, განათლების საკითხებიც ეკლესიას დაუკავშირდა. არსებობდა საეკლესიო სკოლები, სადაც ძირითადად ასწავლიდნენ რელიგიას და მასწავლებელიც იყო პირი, რომელიც ერკვეოდა საეკლესიო დოგმებში. აღორძინების ეპოქაში კი იცვლება განათლების შინაარსი და ის ბრძოლას უცხადებს სქოლასტიკურ-დოგმატურ სწავლებას. სწავლება მიმდინარეობს ბავშვზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა მისი ინდივიდუალური მონაცეები. შესაბამისად, მასწავლებელიც უნდა ყოფილიყო, პირი, რომელიც მხოლოდ თეორიულ ცოდნას კი არ მისცემდა ბავშვს, არამედ ასწავლიდა აზროვნებას. როგორც ვხედავთ, სწავლების შინაარსი, კონკრეტული ეპოქიდან გამომდინარე, იცვლება. იცვლება მასწავლებლის მიმართ წამოყენებული პირობებიც. ფეოდალურ საზოგადოებაში მასწავლებელი იყო საეკლესიო პირი, ხოლო მომდევნო - აღორძინების ეპოქაში უკვე საერო პირი. ვთანხმდებით, იმ საკითხზეც, რომ სწავლების მიზანიც გამომდინარეობს კონკრეტული ეპოქიდან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე, ყველა ეპოქისა და ყველა ქვეყნის აღზრდის მიზანი, პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას ემსახურება, რაც გულისხმობს აღსაზრდელის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას, თუმცა განსხვავებულია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური კურსი პიროვნების ფორმირების პროცესში. თუ დავუბრუნდებით დღევანდელ ეპოქას, აქაც ანალოგიური ვითარებაა, განათლება კვლავაც რჩება სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილად და მის მიზანს განსაზღვრავს. გარდა ამისა, სახელმწიფო იმ პირის უფლება-მოვალეობებსაც აწესებს, რომელიც ემსახურება მისი მიზნის ხორცშესხმას, შესაბამისად, მასწავლებლობა, რეგულირებადი დარგია და მისი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია სტანდარტებითა და დოკუმენტებით.

რადგანაც ვახსენეთ აღზრდის მიზანი, ვთქვათ ისიც, თუ საქართველოში რომელი დოკუმენტი ემსახურება აღზრდის მიზნის(ჰარმონიული მოქალაქის) ჩამოყალიბებას. ესაა დოკუმენტი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომელიც შემუშავდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად და მიზნად ისახავს, აღზარდოს ისეთი მოქალაქე, როგორიც სახელმწიფოს სურს, კერძოდ, ტოლერანტი, შემოქმედი, ღირებულებების დამცველი, გარემოს დამცველი, კანონმორჩილი, ახლის შემქმნელი და ა.შ. ეს ყოველივე კი, რასაკვირველია, არის არა მოკლევადიანი, არამედ გრძელვადიანი მიზანი, რომელიც საბოლოოდ გამოიწვევს ჰარმონიული მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელშიც ერთდროულად იქნება შერწყმული გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური და შრომითი უნარები. თუმცა თუ ჩავუღრმავდებით ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვნახავთ, რომ აქცენტი დასმულია ყველა საგნის პოპულარიზაციაზე, განსაკუთრებით კი, სამოქალაქო განათლებისა და, სამწუხაროდ, ამ დოკუმენტში არ ფიგურირებს ჰარმონიული აღზრდის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა ესთეტიკური აღზრდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ეს ხარვეზი დაძლეულია.

რადგანაც სახელმწიფომ შექმნა მიზანი და შესაბამისი საკანონმდებლო აქტი(ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები), მანვე იზრუნა განათლების შინაარსზეც და შექმნა დოკუმენტები, რომლებიც ემსახურება განათლების შინაარსის სრულყოფას. კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმა და კანონი ზოგადი განათლების შესახებ. ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები, ხოლო კანონი- ზოგადი განათლების შესახებ, აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

შემდეგი საკითხი, როგორ გადასცეს შინაარსი და როგორ ასწავლოს, რეგულირდება პედაგოგიკით, კერძოდ, დიდაქტიკური პრინციპებით, ზოგადპედაგოგიკური პრინციპებით, სწავლების მეთოდებითა და ორგანიზაციის ფორმებით. და ბოლოს, ვინ ასწავლოს და ვინ შეასრულოს სახელმწიფო დაკვეთა ამასაც წყვეტს სახელმწიფო მასწავლებლის მიმართ წამოყენებული პირობებით. და მაინც, ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა ვის აქვს მასწავლებლობის უფლება ზოგადი განათლების კანონის მიხედვით?

პირს, რომელიც არ არის ნასამართლევი და აქვს დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში, განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელის შემთხხვევაში-შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის/დოქტორის აკადემიური ხარისხი და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (11.07.2009. N1385) 3. საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:(11.07.2009. N1385) ა) სრული ზოგადი განათლება; ბ) შესაბამისი უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლება და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და ეთიკურ ნორმებს, რომელსაც განსაზღვრავს დოკუმენტები - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მასწავლებლის ეთიკის კოდექსი.

შესაბამისად, რომ შევაჯამოთ, კანონმდებლობით მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ბაკალავრის/მაგისტრის/დოქტორის შესაბამისი ხარისხი, ჩაბარებული აქვს საგანი, გავლილი აქვს მასწავლების მომზადების პროგრამა და ფლობს პროფესიულ ცოდნას, რომელსაც ადასტურებს საგნის კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარებით და გამოირჩევა მაღალეთიკური პრინციპებით.

მას შემდეგ კი, რაც მასწავლებლად მუშაობას დაიწყებს, მან უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები, რომელსაც აგრეთვე სახელმწიფო უწესებს დოკუმენტით -კანონი

ზოგადი განათლების შესახებ(თავი II, მუხლი VIII), სადაც გაწერილია შემდეგი ვალდებულებები:

„ა) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

ბ)იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;

გ) იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;

დ) დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

ე)შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ვ)საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით წარუდგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებელს ვალდებულება აქვს არა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე, არამედ კონკრეტული სკოლის წინაშე, რითაც კიდევ შემოდის ახალი ცნება, სკოლის შინაგანაწესი, რომელსაც ასევე უნდა დაემორჩილოს მასწავლებელი.

მასწავლებელს ვალდებულებების გარდა, აქვს უფლებებიც, რომლებიც ასევე გაწერილია კანონში - ზოგადი განათლების შესახებ. კერძოდ, მასწავლებელს აქვს უფლება პირველ რიგში, იცოდეს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, შემდეგ კი - ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში, ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლება, ჰქონდეს სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რწმენის თავისუფლება, უსაფრთხოება, მიიღოს შრომითი ანაზღაურება. გარდა ამისა, მას აქვს დამატებითი უფლებებიც, რომლებიც ძირითადად მისი პროფესიული გაზრდისთვისაა, კერძოდ, აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება ერთ წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით. როგორც ჩანს, მასწავლებლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და ისმის კითხვები-ამდენი ვალდებულებების შემდეგ, რაში გამოიხატება მასწავლებლის თავისუფალი არჩევანი და რჩება კი მასში მთავარი

შემოქმედებითობა? არის კი მისთვის მასწავლებლობა ხელოვნება და ოსტატობა თუ უბრალოდ რუტინული საქმიანობაა?

კანონში ზოგადი განათლების შესახებ (თავი მე-2, მუხლი მე-14, პუნქტი მე-5), ნახსენებია, რომ მასწავლებელს აქვს აკადემიური თავისუფლება, თუმცა, მეორე მხრივ, ეს თავისუფლებაც გარკვეულ ჩარჩოებში ჯდება, რადგანაც ის არ უნდა შეეწინააღმდეგოს ეროვნული სასწავლო გეგმით გასათვალისწინებელი მიზნების მიღწევას. *(„მოსწავლეს და მასწავლებელს აქვთ სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას“).*

რაც შეეხება შემდეგ კითხვას, შემოქმედებითობასთან კავშირში, ზოგადი განათლების კანონში მასწავლებლის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს მისი შემოქმედებითობა, პირიქით, სახელმწიფო თავადვე უდგენს გაკვეთილის ჩატარების ინსტრუქციას(ვგულისხმობთ მასწავლებელთა წიგნებს) და განუსაზღვრავს შინაარსსაც, რაც გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, ხელს უშლის მასწავლებელს იყოს შემოქმედი. თუ ამის პარალელურად ჩავხედავთ კონსტიტუციას, კონსტიტუციის 23-ე მუხლის თანახმად, შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებით საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. (ცენზურა-ზეპირად, წერილობით თუ რამე სხვა საშუალებით საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა). და თუ ვთანხმდებით, რომ მასწავლებლობა შემოქმედებითი პროცესია, მაშინ ეს ნიშნავს იმას, რომ ზოგადი განათლების სფეროში არსებული კანონები წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის 23-მუხლთან და იმ ფილოსოფოსებისა და პედაგოგების შეხედულებებთან, რომლებსაც ამ თავის შესავალ ნაწილში გავეცანით (სოკრატე, კომენსკი, რუსო)? თუმცა, ჩემი აზრით, ასე ცალსახადაც ვერ ვიტყვით, რომ მასწავლებელს სახელმწიფო უკრძალავს იყოს შემოქმედი, პირიქით, მას ზოგადი განათლების კანონის მიზედვით, აქვს უფლება ჰქონდეს სწავლებისა და კვლევის თავისუფლება. მას არც სახელმწიფო ავალდებულებს მიჰყვეს მასწავლებლის წიგნებს და იქ გადმოცემული სრული სიზუსტით ჩაატაროს გაკვეთილი. მაგრამ აქვე ისმის კონტრ-შეკითხვაც: სურს კი მასწავლებელს იყოს შემოქმედი და არ გამოიყენოს თუნდაც მასწავლებლის წიგნი, ამას ხომ სახელმწიფო არ ავალდებულებს? იქნებ და სახელმწიფო იმიტომ ზრუნავს ამ კუთხით, რომ

მასწავლებლის შემოქმედებითობასა და მოსწავლისთვის მასალის სწორად მიწოდების ფორმებში არაა დარწმუნებული? ამ კითხვებზე პასუხს, კვლევის ნაწილში ვიხილავთ.

თავი:II აკადემიური თავისუფლების იდეის წარმოშობისა და განვითარების ისტორია (უცხოური და ქართული გამოცდილება)

§2.1 აკადემიური თავისუფლების განმარტების საკითხისათვის

თავდაპირველად, განვმარტოთ ტერმინი - აკადემიური თავისუფლება, რომელიც თავის თავში მოიცავს ორ ცნებას: „აკადემიური“ და „თავისუფლება“.

აკადემიურის ძირია „აკადემ“, რომელიც წარმოდგება მითიური გმირის აკადემეს სახელიდან და ერქვა ადგილს ათენთან, სადაც ძვ.წ მე-4 საუკუნეში პლატონი ლექციებს უკითხავდა თავის მოწაფეებს. მოგვიანებით კი ამ ტერმინმა მიიღო ზოგადი მნიშვნელობა და აღნიშნავს უმაღლეს სამეცნიერო სახელმწიფო დაწესებულებას. აკადემიური კი ამავე ლექსიკონში განიმარტება, როგორც მეცნიერულად გამართული, სრული, სანიმუშო (ა. ჩიქობავა; 1986).

რაც შეეხება, „თავისუფლების“ განმარტებას, ვკითხულობთ, რომ თავისუფლება არის: 1. ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა, 2. არარსებობა ისეთი პირობებისა, რომელიც ზღუდავს რომელიმე საზოგადოების ან მისი წევრების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მოქმედებას (ა.ჩიქობავა; 1986).

ფილოსოფიურ ლექსიკონში თავისუფლების შემდეგნაირ განმარტებას ვკითხულობთ - ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც გამოხატავს მიმართებას ადამიანთა მოღვაწეობასა და ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურ კანონებს შორის. ნების თავისუფლება, როგორც შესაძლებლობა მოვიქცეთ ნების კარნახისამებრ, რაც განსაზღვრული არ არის გარეშე პირობებით. ეგზისტენციალიზმის მიმდევრები უარყოფენ ნების თავისუფლებას, ამის მოტივად მოჰყავთ ის, რომ ადამიანის მოქმედებები და ქცევები ყველა შემთხვევაში განსაზღვრულია გარეგანი, მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით. ამავე ლექსიკონში ნება განმარტებულია, როგორც ადამიანის შეგნებული მიზანსწრაფვა ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად. ნების თავისუფლება კი გულისხმობს საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარს. ქცევის ნებელობითი ხასითი ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც მიზნის მისაღწევად ადამიანს უხდება შინაგანი და გარეგანი დაბრკოლებების გადალახვა (კ.გოქსაძე; 1987).

აკადემიურ თავისუფლებას კი განმარტავენ შემდეგნაირად:

1. *"აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება"*. [კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თავი 1-ლი, მუხლი მე-2].

2. *„სრული თავისუფლება ასწავლონ და გაავრცელონ იდეები, მათი მეცნიერული მრწამსის შესაბამისად, იმის მიუხედავად ეწინააღმდეგება თუ არა მათი იდეები ცალკეული პოლიტიკური ჯგუფებისა და მმართველი წრეების ინტერესებს"*[გ.დვალი 2012:18].

3. აკადემიური თავისუფლება შესაძლებელია იყოს თავისუფლება ხელმძღვანელობის, სწავლების, საუბრის, გამოქვეყნების, ყოველგვარი ჩარევისა და სასჯელის გარეშე, რომელიც ტიპიურად დაყრდნობილია ორ თეზისზე: პირველი - ცოდნის დევნა დაუშვებელია და უნივერსიტეტს სჭირდება იყოს დაცული პოლიტიკისაგან, რელიგიისა და სხვა ჩარევებისგან. მეორე - უნივერსიტეტი არის დაწესებულების გული და ის საუკეთესოდ ასრულებს თავის როლს თუ დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს თავის საქმეს(G. Baldwin, R James; 2010).[1]

აქვე უნდა აღვნიშნიშნოთ, რომ აღნიშნული განმარტებები ეხება უმაღლესი სკოლის მასწავლებელის აკადემიურ თავისუფლებას და არსად არაფერია ნათქვამი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლის აკადემიურ თავისუფლებაზე. ბუნებრივად გვიჩნდება კითხვა - რატომ?

შეუძლებელია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეს ეს საკითხი გამორჩენოდა? იქნებ, მასწავლებლის პროფესიის რეგულირედობადობისა გამო, ეს საკითხი განხილვას არ ექვემდებარება? თუმცა გაუგებარია, თუ საკითხი ეხება მოზარდი თაობის აღზრდას, რომელსაც მასწავლებელი უძღვება, როგორ შეიძლება არ დაისვას საკითხი მისი შემოქმედებითობის შესახებ. მაინც ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი დასასმელია და ამის საფუძველს კანონიც გვაძლევს, სადაც მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების საკითხი, ფაქტობრივად, გაჟღერებულია მისი უფლებებისა და თავისუფლებების ნაწილში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი უნდა აგვეჩია ჩვენ საკვლევ თემად.

[1] გამოყენებული ლიტერატურაში იხილეთ: International Enciklopedia of Education

ზემოთ მოტანილი განმარტებებიდან, ყველაზე მეტად ვიზიარებთ აკადემიური თავისუფლების იმგვარ განმარტებას, რომელიც გულისხმობს სრულ თავისუფლებას, ასწავლონ და გაავრცელონ იდეები მასწავებლებმა მათი მეცნიერული მრწამსის შესაბამისად, ეწინააღმდეგება თუ არა იგი კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც, სრული თავისუფლებაც გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ, რადგანაც ის უნდა მოიცავდეს იმგვარ თავისუფლებას და განაწყვეტილების მიღების უნარს, რომელიც გავრცელდება საქმის ცოდნით.

და მაინც, კონკრეტულად სად უნდა ვეძებოთ მასწავლებლის აკადემიური თავისუფლება - განათლების მიზანში, შინაარსში, მეთოდში თუ თავად მასწავლებელში? მივყვეთ ეტაპობრივად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განათლების მიზანს განსაზღვრავს სახელმწიფო, შესაბამისად, ის ადგენს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომელიც უნდა იყოს ნებისმიერი საგნის მასწავლებლისთვის ამოსავალი დებულება, რომ მან მიაღწიოს მთავარ მიზანს, აღზარდოს ისეთი მოქალაქე, რომელიც პასუხობს სახელმწიფოს მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი უნდა დაემორჩილოს სახელმწიფოს მოთხოვნას, მისი თავისუფლება კი უნდა გამოიხატებოდეს არა იმაში, რომ თავისი მრწამსის შესაბამისად შეცვალოს ზოგადი განათლების მიზანი, არამედ იმაში, რომ მან ნებისმიერი მის მიერ შერჩეული მეთოდისა თუ საკუთარი პროფესიული ცოდნის დახმარებით შეძლოს მოსწავლეს შესძინოს ისეთი უნარები, რომლებიც პასუხობს ჩვენი განათლების სტანდარტებს. ამ შემთხვევაში, თუ როგორ მოახერხებს მასწავლებელი ამ ყოველივეს, ამაში უნდა გამოიხატებოდეს მისი თავისუფლება და სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ამ საკითხში.

მეორე შემთხვევაში, სახელმწიფო განსაზღვრავს განათლების შინაარსსაც, შეიმუშავებს სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესსაც და ავალდებულებს სკოლას, რომ მან აუცილებლად აირჩიოს ის კონკრეტული სახელმძღვანელო, რომელიც გრიფმინიჭებულია. შესაბამისად, მასწავლებელს მოსწონს თუ არა არჩეული სახელმძღვანელო, ნებისგან დამოუკიდებლად, უნდა ასწავლოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული წიგნით. თუმცა, მასწავლებელი არაა შეზღუდული, რომ მან დამატებითი მასალით გაამდიდროს ყოველდღიური გაკვეთილები. ვფიქრობ, აკადემიური თავისუფლებაც ამ ნაწილში განისაზღვრება და კანონში ზოგადი

განათლების შესახებ ნახსენები აკადემიური თავისუფლებაც, სწორედ იმასვე გულისხმობს, *(ჰქონდეს სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს*). მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების ყველაზე დიდი ნაწილი, ჩემი აზრით, სწორედ მესამე კომპონენტზე მოდის (როგორ ვასწავლოთ), ამ შემთხვევაში მასწავლებელი ყველაზე ნაკლებ შეზღუდული უნდა იყოს. მას უნდა ჰქონდეს თავისუფლება კონკრეტული გაკვეთილი ახსნას ისე, როგორც მას ესმის და არა ისე, როგორც ეს ე.წ. მასწავლებლის წიგნშია ახსნილი. მას უნდა ჰქონდეს უფლება არ მიჰყვეს წიგნის თანმიმდევრობას და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად ახსნას გაკვეთილი (განსაკუთრებით ჰუმანიტარულ საგნებში). არ მოსთხოვონ მას მიჰყვეს სილაბუსებს, შეადგინოს ყოველდღიური გაკვეთილის გეგმები, რომლებიც რუტინულ საქმიანობად იქცევა მისთვის. მისცეს მოსწავლეს ნიშნის გამოსწორების შანსი და თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას, სულაც არ დაუწეროს ნიშანი, იმ კონკრეტულ დღეს. თუმცა, ამ შემთხვევაში, მასწავლებელი შეზღუდულია, რადგანაც სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სასწავლო სამუშაოები ფასდება პედაგოგის მიერ იმავე დღეს და იწერება ნიშანი. ჩემი აზრით, მთავარია მასწავლებელმა მიაღწიოს შედეგს და გავიდეს კონკრეტული ასაკობრივი კატეგორიისა და საგნისთვის დამახასიათებელ სტანდარტზე და თუ როგორ მიაღწევს იგი ამ შედეგს თავადვე უნდა აირჩიოს. მაგრამ ისმის კითხვა- უნდა კი მასწავლებელს ამ კომპონენტშიც იყოს თავისუფალი, და თავისი შემოქმედებითობა გამოყენოს, თუ ურჩევნია შეთავაზებული, მზა მასალა მიიღოს? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს ჩვენი კვლევის ნაწილიდან უკეთ გავიგებთ.

§2.2. უცხოური გამოცილება

რადგანაც არ არსებობს საერთაშორისო გამოცდილება სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხების შესახებ და ყველა ინფორმაცია მოიძებნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ირგვლივ, (ესეც მწირია), მიმოვიხილავ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხებს და თითოეულს დავუკავშირებ საკანონმდებლო დონეზე ქართულ გამოცდილებას.

აკადემიური თავისუფლების პრინციპი ევროპაში წარმოიშვა. იგი უკავშირდება იტალიელი ფილოსოფოსს, ტომაზო კამპანელას. 1622 წელს "გალილეოს დაცვაში" (The Defense of Galileo) ფილოსოფოსმა ახსენა libertas philosophandi, რაც "სწავლების თავისუფლებას" ნიშნავს. მოგვიანებით, 1694 წელს, ქ. ჰალეში დაფუძნდა ფრიდრიხის უნივერსიტეტი, რომელის მთავარი მიზანი თავისუფალი კლევისა და სწავლების პრინციპი გახლდათ. მიუხედავად ამისა, აკადემიური თავისუფლების თანამედროვე გაგება, მაინც 1810 წელს დაფუძნებულ ბერლინის უნივერსიტეტსა და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელს უკავშირდება, რომლისთვისაც სწავლებისა და კვლევის თავისუფლება უმთავრესია და შემდგომ ეს პრინციპი ედება საფუძვლად თანამედროვე კვლევითი უნივერსიტეტების საქმიანობას, როგორც ევროპაში ისე ფარგლების გარეთაც.

უმაღლეს განათლებაში დადგენილი წესები, აკადემიური თავისუფლების შესახებ, გამომდინარეობს რეკომენდებული ინსტიტუციური დებულებებიდან, რომლებიც 1940 წლის პრინციპზეა დაყრდნობილი, კერძოდ: 1972, 1976, 1982, 1990, 1999, 2005, 2006, 2009, 2013 და 2018 წლებში შემუშავებული დოკუმენტები ემყარება 1940 წლის დადგენილებას. და რადგანაც თითოეული მათანი გამომდინარეობს 1940 წლის დადგენილებიდან, შესაბამისად, სწორედ მას მივაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას და შედარებისთვის მოვიყვან 2018 წლის დოკუმენტს, რათა ვნახოთ რა შეიცვალა და როგორ განვითარდა აკადემიური თავისუფლების მიმართ წამოყენებული წესები და პირობები.

1915 წელს უნივერსიტეტის პროფესორთა ამერიკული ასოციაციის აკადემიური თავისუფლებისა კომიტეტმა ჩამოაყალიბა აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ვადების პრინციპები. 1940 წლიდან კი იქმნება, წინა პერიოდის არსებული გამოცდილების საფუძველზე, ერთობლივი კონფერენციების სერია, აკადემიური თავისუფლების პრინციპებისა და დანიშვნის ვადების შესახებ.

აკადემიური თავისუფლების პრინციპებში გამოიყოფა შემდეგი კომპონენტები:

1. სწავლებისა და კვლევის საქმიანობის თავისუფლება;

2. უსაფრთხოების ხარისხი, რათა პროფესორ-მასწავლებლებს თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი მოვალეობის შესრულება. პირველი კომპონენტი, სწავლებისა და კვლევის საქმიანობის თავისუფლება, მოიცავს შემდეგს: 1. პედაგოგები უფლებამოსილნი არიან კვლევის სრული შედეგები გამოაქვეყნონ. ფულადი სახსრებს უნდა ანაზღაურებდეს დაწესებულება. 2. პედაგოგებს უფლება აქვთ საკლასო ოთახში განიხილონ თავიანთი კვლევის შედეგები და საკუთარი შეხედულებები, მაგრამ ისინი ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან რელიგიური თუ სხვა მიზეზების გამო, არ დაარღვიონ მოსწავლეთა უფლებები.

დანიშვნის ვადაში კი, რომელიც აგრეთვე აკადემიური თავისუფლების განმსაზღვრელ კომპონენტს წარმოადგენს, მოიაზრება შემდეგი: უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის ლექტორის დანიშვნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 7 წელს, თუმცა შესაძლებელია უნივერსიტეტმა გამოსაცდელი ვადა წაუყენოს ლექტორს, რომლის მაქსიმუმი 4 წელია. ამ 4 წლის განმვლობაში, არა უადრეს 1 წლისა, ლექტორს აქვს უფლება წერილობითი განცხადების საფუძველზე თავადვე თქვას უარი თანამდებობაზე. ხოლო თუ ლექტორს თანამდებობიდან ათავისუფლებენ ვადაზე ადრე, დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს კონკრეტული არგუმენტები რატომ ხდება ასე. გარდა ამისა, ლექტორს უფლება აქვს მოითხოვოს ერთი წლის ხელფასი, თანამდებობიდან გათავისუფლების შეტყობინების დღიდან (AAUP; 1940)[2].

ახლა ვნახოთ ეს თითოეული პუნქტი რამდენადაა ასახული ქართულ

[2] გამოყენებულ ლიტერატურაში იხილეთ სათაურით: Statement of principles on academic freedom and Tenure 1940

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დოკუმენტებში. მასწავლებლის სწავლებისა და კვლევის თავისუფლების შესახებ, ინფორმაციას გვაწვდის დოკუმენტი: კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომლის მე-14 მუხლის, მე-5 პუნქტში ვკითხულობთ: *„მოსწავლეს და მასწავლებელს აქვთ სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას“.*

უსაფრთხოების ხარისხის შესახებ, ასევე ვკითხულობთ, დოკუმენტში: კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომლის მე-8 მუხლის მე-3 ა და მე-20 მუხლის 1-ლ პუნქტებში გვაქვს შემდეგი: სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, აგრეთვე თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე: ა) *„ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა; დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.*

რაც შეეხება, მომდევნო საკითხს, მასწავლებელთა დანიშვნის ვადებს, კანონში ზოგადი განათლების შესახებ, ინფორმაცია არაა შესული. კანონი მოიცავს ინფომაციას სკოლის მმართველ პირთა|ორგანოთა დანიშვნის ვადების შესახებ. მასწავლებლის თანამდებობრივი ვადების შესახებ ინფორმაცია დაცულია თითოეული მასწავლებლის ხელშეკრულებაში, რომელსაც სკოლა უდებს მას პირველი სამუშაო დღიდან.

ამერიკულ უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტში, აქცენტი ძირითადად დასმულია არა სწავლებისა და კვლევის საკითხებზე, არამედ ლექტორის დანიშვნის ვადებზე, რომელშიც პუნქტებადაა გაწერილი: (1) პრობაციონერული დანიშვნები; (2) დანიშვნები მუდმივი ვადით. ყველა ნახევარ განაკვეთზე ფაკულტეტის დანიშვნები ან (1) სტაჟირების დანიშვნები; (2) დანიშვნები მუდმივი ვადით; რომლის დეტალურად განხილვას, ვფიქრობ, ამ

შემთხვევაში, არ საჭიროებს ჩემი თემა (AAUP; 2018)[3] .

1988 წელს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციამ, უნივერსიტეტთა ქარტიაში, აღნიშნა, რომ კვლევისა და სწავლების თავისუფლება უნივერსიტეტის ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპია. სამთავრობო დაწესებულებებმა და უნივერსიტეტებმა თავ-თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში უნდა უზრუნველყონ აკადემიური თავისუფლების დანერგვა(T.Karan; 2007)[4].

1997 წელს UNESCO-მ გასცა რეკომენდაცია, რომელიც სახელმწიფოში აკადემიური თავისუფლების არსებობისთვის აუცილებელ პარამეტრებს განსაზღვრავს. ეს პარამეტრებია:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური ავტონომია - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს უფლება, დამოუკიდებ-ლად განახორციელოს საქმიანობა. მას უნდა ჰქონდეს თვითმმართველობის ისეთი ხარისხი, რომელიც აუცილებელია ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თავისუფლების პრინციპი ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული. აკადემიური თავისუფლების დაცვა თავად აკადემიურ პერსონალსაც ევალება. პროფესორს თავისუფლად უნდა შეეძლოს მონაწილეობა სწავლებასა და დისკუსიაში, სამეცნიერო კვლევის განხორციელებაში, მისი შედეგების გავრცელებასა და გამოქვეყნებაში. პროფესორს თავისუფლად უნდა შეეძლოს საკუთარი აზრის გამოხატვა იმ ინსტიტუტის ან სისტემის შესახებ, რომელშიც ის მუშაობს. ის დაცული უნდა იყოს ინსტიტუციური ცენზურისგან. .

თვითმმართველობა და გადაწყვეტილებების მიღება კოლეგიური წესით - აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში, აირჩიოს წარმომადგენლები მისი მმართველობის ორგანოებში, ჩაერთოს ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც ეხება უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას, უმაღლესი სასწავლებლის პოლიტიკას, კურიკულუმს,

[3] გამოყენებულ ლიტერატურაში იხილეთ სათაურით:. Recommendeed institucional regulations on academic freedom and Tenure 2018

[4] გამოყენებულ ლიტერატურაში იხილავთ სათაურით: Academic freedom in Europe

სამეცნიერო კვლევას, საქმიანობის გაფართოებას და სხვა.

Tenure-სისტემა - აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ ან დანიშნულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ ის დასაქმებულია დიდი ხნით, თუნდაც დაწესებულებაში რეორგანიზაცია განხორციელდეს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, 2006 წლის 30 ივნისს, გასცა რეკომენდაცია აუმაღლესი სასწავლებლების ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების შესახებ. დოკუმენტით ნათელი ხდება, რომ უნივერსიტეტის ავტონომია და აკადემიური თავისუფლება მისი ფუნქციონირების აუცილებელი ელემენტია. პროფესორ-მასწავლებელს უნდა ჰქონდეს არსებული ცოდნის კრიტიკის უფლება, სამეცნიერო კვლევების თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა, პირადი მოსაზრების გამოხატვა, როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. დაუშვებელია, პროფესორის საქმიანობაში რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა დაწესებულებათა ჩარევა. თუმცა პროფესორ-მასწავლებლის შეზღუდვაც შესაძლებელია თუ გათვალისწინებულია რიგი გარემოებები, კერძოდ, ექსპერტთა გამოკვლევების მიერ დადგინდება, რომ იგი არაკომპეტენტურია ან მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს (T.Karan, 2007)[5].

§2.3 ქართული გამოცდილება

კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, რაშიც შეიძლება ვიგულისხმოთ აკადემიური თავისუფლების პრინციპების დანერგვაც.

მიმოვიხილავ კიდევ ერთ დოკუმენტს "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეკლარაცია უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ" (**დეკლარაცია**-აქტი, განაცხადი, საჯარო დოკუმენტი, რომელიც ასახავს სხვადასხვა ტიპის მონაცემებს მისი

[5] გამოყენებულ ლიტერატურაში იხილავთ სათაურით: Academic freedom in Europe

დანიშნულებიდან გამომდინარე), უფრო ნათელი რომ გახდეს ჩვენთვის აკადემიური თავისუფლების დამახასიათებელი პრინციპები.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური თავისუფლება არის იდეა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების იმ სახეებს და შესაბამის პასუხისმგებლობათა რიგს, რომლებიც განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლებლების, მათი მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სტუდენტებისთვის და უპირველესად გულისხმობს კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისუფლებას:

ა) **კვლევის თავისუფლება**: კვლევის თავისუფლება გულისხმობს, რომ მეცნიერი არის თავისუფალი მისი კვლევის ობიექტის განსაზღვრაში, მეთოდოლოგიურ მიდგომაში, ისევე როგორც კვლევის შედეგების შეფასებასა და გავრცელებაში. თუმცა მისი ეს თავისუფლება დაკავშირებულია აკადემიურ ვალდებულებასა და სინდისიერებასთან, რაც გულისხმობს, რომ კვლევის პროცესი და კვლევის შედეგები არ უნდა იყოს ზიანის მომტანი საზოგადოებისა და ინდივიდებისათვის და არ უნდა იწვევდეს არავითარი სახის დისკრიმინაციას.

ბ) სწავლების თავისუფლება: უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კორპუსს უფლება აქვს, თავისი შეხედულების მიხედვით, დაგეგმოს და განახორციელოს სასწავლო ღონისძიებები შინაარსობრივად, მეთოდოლოგიურად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მეცნიერული და სასწავლო-საგანმანათლებლო შეხედულებები, თუკი ისინი არ ლახავს ადამიანის უფლებებსა და ღირსებას და არ იწვევს რაიმე სახის დისკრიმინაციას. ამრიგად, სწავლების თავისუფლება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების აკადემიურ ნაირსახეობას.

და რადგანაც ვსაუბრობთ მასწავლებელთა აკადემიურ თავისუფლებაზე, ყურადღება მივაქციოთ ამ ორ კონპონენტს, სწავლებისა და კვლევების თავისუფლებას, რომლებიც ლექტორ|მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების საკითხებს ეხება. კვლევის თავისუფლება, როგორც ვიგებთ, დოკუმენტის მიხედვით, გამოიხატება არა მხოლოდ მეთოდოლოგიის შერჩევისა და შეფასებაში, არამედ მას ვალდებულებაც აქვს, რომ იგი უნდა იყოს სინდისიერი და კვლევის შედეგები არ უნდა იყოს ზიანის მომტანი და დისკრიმინაციული. ე.ი, შეიძლება ითქვას, რომ აკადემიური თავისუფლება გულისხმობს თავის თავში აკრძალვასაც, მაგრამ არა ისეთ აკრძალვას, რომელიც გინდა

რომ გააკეთო და ვერ აკეთებ, რადგანაც აკრძალული გაქვს, არამედ ისეთს, რომელიც არ გინდა, რადგანაც ხარ სინდისიერი. შესაბამისად, გამოდის, რომ თუ არ ხარ სინდისიერი, იდეაში ვერ ხარ აკადემიურად თავისუფალი, რადგანაც აკრძალვას თუ ეხება საქმე, ჩემი აზრით, თავისუფლების მაჩვენებელი იკლებს.

მეორე შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სწავლების თავისუფლებას, იგი არის სწავლების მეთოდოლოგიისა და შინაარსის თავისუფლად განსაზღვრა, თუმცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სწავლების შინაარსის განსაზღვრაში მასწავლებელი არ არის თავისუფალი, რადგანაც ამას განსაზღვრავს ესგ. ხოლო თავისი შეხედულებების გამოხატვაში უნივერსიტეტის და სკოლის მასწავლებელი თავისუფალია, თუმცა აქაც გარკვეული შეზღუდვები არსებობს, რომელიც ვიტყოდი გადის ადამიანურობის, სინდისიერების ზღვარზე, რადგანაც არ უნდა ლახავდეს ადამიანის უფლებებსა და ღირსებებს და არ იწვევდეს რაიმე სახის დისკრიმინაციას. შესაბამისად, თუ მასწავლებლის სინდისიერების ნიშნული დაბლაა, მაშინ გამოდის რომ იგი აკადემიურად თავისუფალი არათუ არაა, არამედ ვერ იქნება.

და ბოლოს, რა არის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლება და რა მოიაზრება მასში?

ზემოთ განხილული დოკუმენტების საფუძველზე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე პუნქტი:

- ✓ მასწავლებელი თავისუფალია ინსტიტუციური ცენზურისგან და სრული თავისუფლებით სარგებლობს საკლასო ოთახში, საგნის განხილვისას. აგრეთვე, მასწავლებლის უფლებაა, საკლასო ოთახში გამოთქვას საკუთარი აზრი და კვლევების შედეგები, რომლებიც არ ლახავს სხვა პირთა უფლებებს. ამავე დროს, პედაგოგს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და გამოიჩინოს ჯეროვანი პატივისცემა სხვების შეხდულებებისადმი.
- ✓ მასწავლებელი თავისუფალია *სწავლების მეთოდების* შერჩევაში. მასწავლებელი უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს შესაბამისი საგნის სწავლების მეთოდები. შერჩეული მეთოდი გონივრულ კავშირში უნდა იყოს განსახილველ საგანთან და სკოლის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს.

- ✓ მასწავლებელს აქვს უფლემა მონაწილეობდეს სკოლის მართვაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ილახება მისი აკადემიური თავისუფლება.
- ✓ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ იგი დასაქმებულია გარკვეული ვადით და არის ხელშეუხებელი, მუშაობს უსაფრთო გარემოში.
- ✓ რაც შეეხება ***სასწავლო პროგრამის შინაარსს*** - შინაარსი განისაზღვრება სახელ-მწიფოს მიერ, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული და სკოლის სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევასა და სკოლის საგანმანათლებლო მიზნების რეალიზებას. თუმცა აკადემიური თავისუფლება აბსოლუტური არ არის და თავის თავში გულისხმობს აკრძალვებსაც. ეროვნული და სკოლის სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება აკადემიური, ობიექტური, ნეიტრალური უნდა იყოს. დაუშვებელია, მასწავლებელმა მოსწავლეს საკუთარი მოსაზრებები მოახვიოს თავს. მაგალითად, დაუშვებელია იმ თეორიის ან ფაქტის წარმოჩენა მეცნიერულად, რომელსაც მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. მასწავლებელს უფლება აქვს, თავისუფლად წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება გაკვეთილზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, ამავე დროს, ის ვალდებულია, მოსწავლეებს გააცნოს განსხვავებული მოსაზრებების ფართო სპექტრი, აგრეთვე ხელი შეუწყოს სწავლების საგანთან დაკავშირებით თავისუფალი დისკუსიის წარმართვას საკლასო ოთახში. ასევე დაუშვებელია სკოლაში სასწავლო პროცესის პოლიტიზება. მასწავლებელი ვალდებულია, თავი შეიკავოს პოლიტიკურად სადავო ისეთი საკითხების განხილვისგან, რომლებიც არ არის გონივრულ კავშირში სწავლების საგანთან.

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი თემა გახლავთ მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხების კვლევა შიდა ქართლის რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. შერჩევითი ერთობლიობა-შიდა ქართლის რეგიონის საჯარო/კერძო სკოლებში ამჟამად დასაქმებული მასწავლებლები. კვლევის კითხვები აგებულია აკადემიური თავისუფლების განმსაზღვრელი პრინციპების მიხედვით, რომლებიც გამოყოფილია შემდეგ დოკუმენტებში:

- ამერიკის უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ შედგენილი 1940 წლისა და 2018 წლის აკადემიური თავისუფლების პრინციპები;
- UNESCO-ს რეკომენდაცია აკადემიური თავისუფლების არსებობისთვის აუცილებელი პარამეტრების განსაზღვრის შესახებ;
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია აკადემიური თავისუფლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის შესახებ;

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დოკუმენტები ეხება უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხებს და არა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიურ თავისუფლებას, გადავწყვიტე აკადემიური თავისუფლების არსებული ზოგადი პრინციპების მიხედვით შემედგინა კითხვარი, რადგანაც მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების შესახებ არ მოიძებნება არც საერთაშორისო და არც ქართული ოფიციალური დადგენილება. დოკუმენტების შეჯერების საფუძველზე, დადგინდა, რომ აკადემიური თავისუფლება მოიაზრებს რამდენიმე კომპონენტს, კერძოდ, სწავლების, კვლევის, უსაფრთხოების, სამუშაო ვადებისა და უმაღლესი სასკოლო დაწესებულების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებას. რის შემდეგაც გადავწყვიტე ჩამეტარებინა ზოგადსაგანმანათლებლო აქტების ანალიზი. კონკრეტულად, თითოეული აკადემიური თავისუფლების განმსაზღვრელი კომპონენტები შინაარსობლივად რამდენად იყო ჩადებული ზოგადი განათლების კანონში. მოძიების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ

აკადემიური თავისუფლების თითოეული კომპონენტი: სწავლება, კვლევა, უსაფრთხოება, სკოლის მართვაში მონაწილეობა, არსებობს ზოგადი განათლების კანონში, (რომელზეც ვრცლად ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში გვქონდა საუბარი) შესაბამისად, ამ გარემობის გათვალისწინებით, შედგა ინტერვიუსთვის სავარაუდო კითხვები.

კვლევის მიზანი და ამოცანები/საკვლევი კითხვები

კვლევის მიზანია, შიდა ქართლის რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხების კვლევა, კერძოდ :

• როგორ ესმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელს აკადემიური თავისუფლება;

• აკადემიური თავისუფლების განმსაზღვრელი კომპონენტებიდან - სწავლება, კვლევა, ორგანიზაციული მართვის საკითხები- რომელ ნაწილში აქვს ან არ აქვს მას აკადემიური თავისუფლება;

• რა ფაქტორები/მიზეზები განსაზღვრავს მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების ხარსხს.

არსებული კვლევის ირგვლივ, დავისახეთ შემდეგი **ამოცანები:**

• სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, ლიტერატურა, საერთაშორისო და სახელისუფლებო დადგენილებები;

• კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;

• კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;

• თვისებრივი ემპირიული კვლევის ჩატარება;

• დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

საკვლევი კითხვებია: რამდენად ესმით მასწავლებლებს აკადემიური თავისუფლების შინაარსი? აკადემიური თავისუფლების თითოეულ კომპონენტში რა ხარისხით აქვთ მასწავებლებს აკადემიური თავისუფლება და რა არის ამის მიზეზი? რას თვლიან მასწავლებლები ყველაზე მნიშვნელოვნად აკადემიური თავისუფლების კუთხით? რა ღონიძიებებს გაატარებდნენ აკადემიური თავისუფლების განვითარებისთვის?

- **კვლევის მეთოდები:** თვისებრივი - სამაგიდე კვლევა, ჩაღრმავებული ინტერვიუ.
- **შერჩევა**

კვლევისას გამოვიყენე მიზნობრივი შერჩევა და შეირჩა შიდა ქართლის ყველა რაიონის ორ-ორი სკოლა, და დედაქალაქის ოთხი სკოლა(2 კერძო, 2 საჯარო), სულ ჩატარდა 14 ჩაღრმავებული ინტერვიუ - მათემატიკის, ქართულის, ინგლისურის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, დაწყებითებისა და ისტორიის მაწავლებლებთან.

- **კვლევის შეზღუდვები:**

• ლიტერატურისა და კვლევების არარსებობა თემის ირგვლივ;

• მასწავლებლები ხშირ შემთხვევაში უარს ამბობდნენ ინტერვიუზე, რადგანაც არ ესმოდათ კონფიდენცილურობის შინაარსი და ეშინოდათ, ან პირიქით, თანხმდებოდნენ და არ იყვნენ გულწრფელები პირადი საუბრისას.

• ფოკუს-ჯგუფის ჩაშლა, გამომდინერე იქიდან, რომ ფოკუს-ჯგუფისთვის შეკრებილი ერთი რაიონის სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები ერთმანეთს იცნობდნენ.

• ინტერვიუს ჩაშლა ერთ-ერთ სკოლაში, გამომდინარე იქიდან, რომ დირექტორმა მოითხოვა ინტერვიუს დასწრებოდა ან გადამეცა ინტერვიუს ჩანაწერი.

• პირველ რიგში, მასწავლებლები კითხულობდნენ რა საკითხს ეხებოდა კვლევა, იგებდნენ რა, აკადემიური თავისუფლებას, უარს ამბობდნენ ინტერვიუზე, რადგანაც აცხადებდნენ, რომ მაგ საკითხის ირგვლივ არ ფლობდნენ არანაირ ინფორმაციას და ვერ დამეხმარებოდნენ;

• მასწავლებელთა უმრავლესობა, სკოლის მმართველობასთან დაკავშირებულ კითხვებს თავს არიდებდა.

- **კვლევის შედეგები**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 14 სიღრმისეული ინტერვიუ შიდა ქართლის რეგიონის მასწავლებლებთან. კერძოდ, 4 ინტერვიუ ჩატარდა თბილისის კერძო და საჯარო სკოლის მასწავლებლებთან - 2 საჯარო და 2 კერძო სკოლაში. მასწავლებლები წარმოადგენდნენ გლდანი-ნაძალადევისა და ისანი-

სამგორის რაიონის სკოლებს. რაც შეეხება, შიდა ქართლის დანარჩენ რაიონებს: კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, თითო რაიონში ჩატარდა ორი ინტერვიუ. გარდა ამისა, დამატებით, დაბა აგარასა და დაბა სურამში ჩატარდა თითო ინტერვიუ.

რაც შეეხება საგნის მასწავლებლებს, თუ რომელი საგნის მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა კვლევაში, დავიცავით აქაც პროპორციულობის წესი და თანაბარი რაოდენობის ერთი და იმავე საგნის მასწავლებელი გამოვიკითხეთ. კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენის(ინგლისური), მათემატიკის, დაწყებითი საფეხურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და ბიოლოგიის ორ-ორი მასწავლებელი. რომელთაგან:

- **სქესი** - ერთი მამრობითი სქესის, ცამეტი-მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.
- **ასაკი-** მათი საშუალო ასაკი 42 წელია, ასაკობრივი მინიმუმი 24 წელი, ხოლო მაქსიმუმი-65 წელია.
- **სამუშაო გამოცდილება-** მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ 40 წელია.
- **მასწავლებლის სტატუსი-** **5** პრაქტიკოსი, 8 უფროსი და 1 წამყვანი მასწავლებელია. ინტერვიუსთვის მართალია, სავარაუდო კითხვები გვქონდა და რაზე უნდა დაგვესვა აქცენტი საუბრის პროცესში ვიცოდით, მაგრამ კითხვარი იყო არასტრუქტურირებული, რაც მეტად მაძლევდა საშუალებას მეც და რესპოდენტსაც ვყოფილიყავით ბუნებრივები საუბრისას. ინტერვიუების ჩატარების შემდეგ გაკეთდა ტრასკრიპტები, კოდირება და კატეგორიზაცია.

კვლევის ანალიზისთვის გამოვიყენებ რამდენიმე ბლოკის ირგვლივ გაერთიანებულ საერთო და განსხვავებულ რესპოდენტთა პასუხებს. ბლოკები დასათაურებულია აკადემიური თავისუფლების განმსაღვრელი პრინციპების მიხედვით.

- **აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვა**

ჩემი პირველი კითხვა რესპოდენტებთან იყო შემდეგი: **რა არის თქვენთვის აკადემიური თავისუფლება და რას მოიაზრებთ მის შინაარსში?** პასუხებიდან გამომდინარე კი, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხული მასწავლებლების ნაწილი **არ**

დაფიქრებულა (თავიანთივე შეფასებით) რა არის აკადემიური თავისუფლება და ითხოვდნენ მევე განმემარტა მათთვის ტერმინის შინაარსი.

„რა ვიცი აბა, მაგ კითხვაზე რა პასუხი გაგცე, არასოდეს მიფიქრია“.

„ნამდვილად არ ვიცი“.

„იქნებ განმიმარტოთ თქვენვე. რომ თქვით კვლევა რასაც ეხებოდა ცოტა ვერ მივხვდი“.

ერთი რესპოდენტი აკადემიური თავისუფლებაზე რადიკალურად განსხვავებულ, არასწორ ინფორმაციას იძლევა, რადგანაც მიჩნევს, რომ აკადემიური თავისუფლება არის პროგრამა, რომელიც ისწავლება ილიასა და ქუთაისის უნივერსიტეტში:

„ამ საკითხზე ტრენინგები მაქვს გავლილი და ვფლობ ინფორმაციას, რომ ამ აკადემიურ თავისუფლებას კარგად ასწავლიან ილას უნივერსიტეტში და ქუთაისის უნივერსიტეტში. ძალიან საინტერესო თემაა“.

რაც შეეხება დანარჩენ შემთხვევებს, რესპოდენტები, მართალია, ამბობენ, რომ არ იციან რა არის აკადემიური თავისუფლება, მაგრამ სავარაუდო პასუხებს იძლევიან, რომლებიც მოიაზრებს აკადემიურ თავისუფლებაში შემავალ კომპონენტებს. ძირითადად, აკადემიური თავისუფლება მათთვის უკავშირდება **სწავლებისა და შეფასების კომპონენტებს.**

„ალბათ, ბავშვების შეფასების საკითხს უკავშირდება“.

„აკადემიური თავისუფლება ჩემთვის არის სრული თავისუფლება საგაკვეთილო პროცესში და წვდომა სასწავლო მასალასთან.“

„თავისუფლება ჩემს გაკვეთილზე, სასწავლო მასალის შერჩევის თავისუფლება, რა თქმა უნდა, რასაც სახელმწიფო გვაწვდის, იმის გარდა, იქნება ეს წიგნები თუ ინტერნეტ რესურსები.“

„შეფასებაში როცა თავისუფალი ვარ, ესაა ჩემთვის აკადემიური თავისუფლება“.

„თავისუფლება სწავლების პროცესში“.

მასწავლებელთა ნაწილი აკადემიურ თავისუფლებაში მოიაზრებს **სიტყვის თავისუფლებას:**

„ყოველგვარ შეზღუდვისა და შიშის გარეშე ეწეოდე შენს პროფესიულ საქმიანობას“.

„უფლება, როცა თავისუფლად, სამუშაოს შიშის დაკარგვის გარეშე, ეწევი შენს პროფესიულ საქმიანობას“.

„ყოველგვარი ზედამხედველობისა და ჩარჩოების გარეშე გადმოვცე ჩემი აზრი“.

თუ შევაჯამებთ დასმულ საკითხს (აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვა), რესპოდენტთა პასუხების მიხედვით, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობას, დაახლოებით სწორად ესმის აკადემიური თავისუფლების შინაარსი, თუმცა ყველას შემთხვევაში, ფაქტი ერთია, აღნიშნული ტერმინი მათთვის უცხოა და პირველად ესმით. რომლის საფუძველზეც, კვლევის **ჰიპოთეზა** (გამოკითხულ მასწავლებლებელთა უმრავლესობისთვი სტერმინი უცხოა და უჭირთ აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვრა) მართლდება პირველ ნაწილში, რომ მათთვის ტერმინი უცხოა, მეორეში კი არა - უმრავლესობას არ უჭირს აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვრა.

გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური თავისუფლება, რამდენიმე კომპონენტს მოიაზრებს, ჩემი კვლევის კითხვარებიც ემსახურება მიზანს თუ რა ხარისხით აქვთ აკადემიური თავისუფლება, თითოეული კომპონენტის შემთხვევაში, გამოკითხულ მასწავლებლებს. მივყვეთ ეტაპობრივად.

- **სწავლება**

ამ ბლოკში გავაერთიანეთ კითხვები, რომლებიც მოიცავს სწავლების მიზანს, შემოქმედებითობის, სასწავლო მეთოდების შერჩევის, დამატებითი მასალის შერჩევისა და შეფასების თავისუფლებას. **სწავლების მიზნის** შემთხვევაში, გამოკითხულ მასწავლებელთა მცირე ნაწილი **კითხვას-რა არის თქვენი მთავარი მიზანი სწავლების პროცესში?** უკავშირებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას და პასუხობს რომ:

„ მოსწავლის ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბება“.

„ჩემი მიზანია კონკრეტული გაკვეთილით არა მხოლოდ შედეგზე გავიდე, რასაც იგი ემსახურება, არამედ კონკრეტული გაკვეთილით ვიზრუნო ზოგადი ეროვნული მიზნების ხორცშესხმაზე, მთავარი ესაა“.

„აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარება, კარგისა და ცუდის გარჩევა, რითაც იგი შეძლებს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდეს“.

„ჩემი მოსწავლეები გავიყვანო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტზე“.

გამოკითხულ მასწავლებელთა სრული უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ მათი მთავარი მიზანი არის თეორიული ცოდნის გადაცემა, რითაც ნათელი ხდება, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმეტესობისთვის სწავლების მიზანი კონკრეტული გაკვეთილის თეორიული ნაწილის გადაცემით შემოიფარგლება.

დამატებითი მასალის შერჩევის საკითხში გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა თავისუფალია, არ განიცდის შეზღუდვას, არც სკოლის დირექციის და არც მშობელთა მხრიდან, პირიქით, სკოლა მათ მხარში უდგას, როდესაც დამატებითი მასალა გასამრავლებელია. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებელთა ნაწილის შეზღუდვა აქვს, არა მშობლის ან დირექციის მხრიდან, არამედ საკუთარი თავისგან:

„იცი რა, ვიყენებდი ადრე. ახლა, ამ პერიოდისთვის, ვიყენებ მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოებს, არ მაქვს მაგის თავი დამატებითი მასალა ვეძიო“.

სასწავლო მეთოდების შერჩევის თავისუფლების საკითხში ყველა მასწავლებელი ამბობს, რომ თავისუფალია, ამ მხრივ, მაგრამ, როდესაც უკვე ვეკითხებით ჩამოგვითვალოს სასწავლო მეთოდები, რომლებსაც ის იყენებს სწავლების პროცესში, ირკვევა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა ნაწილმა არ იცის სასწავლო მეთოდები.

„ნეტავ იმდენი მეთოდი იყოს, ყველა გაკვეთილზე განსხვავებული გამოვიყენო..... რომელი ერთი ჩამოვთვალო, მაგალითად, უკუკავშირი“.

„ასე როგორ გიხრათ აბა“.

„ შესავალი ნაწილი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა“.

გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა სწავლების ტექნოლოგიებს აღიქვამს მეთოდად და მეთოდად ასახელებს: ჯგუფურ მუშაობას, გონებრივ იერიშს, ინდივიდუალურად მუშაობას.

გამოკითხულ მასწავლებელთაგან მცირე ნაწილი ცნობს სწავლის მეთოდებს და ასახელებს სწორად. აღსანიშნავია, რომ ეს მასწავლებლები არცერთი არაა პრაქტიკოსი:

“მინი ლექცია, კითხვა-პასუხის მეთოდი, დისკუსია“.

„ლექცია, ძალიან მცირე ნაწილი, სწავლა კეთებით, ექვსკურსია, კითხვა-პასუხი“.

„სწავლა კეთებით.“

„დისკუსია, მოზაიკის მეთოდი, პაუზებით კითხვა.“

მასწავლებელთა **შემოქმედებითობის** შეზღუდვას დავუკავშირეთ მასწავლებელთა წიგნების გამოყენება და ***კითხვაზე: მასწავლებელთა წიგნები გირჩევნიათ გამოიყენოთ კონკრეტული გაკვეთილის დასაგეგმად თუ თქვენი შერჩეული მეთოდებით გადიხართ შედეგზე?***

საგნების მიხედვით, განსხვავებული პასუხები გვაქვს:

გამოკითხული ისტორიისა, და მათემატიკის მასწავლებლები საერთოდ არ იყენებენ მასწავლებელთა წიგნებს და ურჩევნიათ თავიანთი მეთოდებით გავიდნენ კონკრეტულ შედეგზე.

გამოკითხული ინგლისურისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ყოველ გაკვეთილზე იყენებენ მასწავლებელთა წიგნებს, რადგანაც იქ იმდენად კარგადაა ახსნილი ყველაფერი თამაშ-თამაშით, რომ არ საჭიროებს მათი მეთოდების მოხმობას.

დანარჩენი-გეოგრაფიის, ბიოლოგიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ზოგ შემთხვევაში იყენებენ მასწავლებელთა წიგნებს, რადგან ყოველთვის მასწავლებელთა წიგნებში ახსნილი გაკვეთილი ვერ შეესაბამება მათი კლასის დონეს, ამიტომაც პირდაპირ გადმოღება ჩაშლის გაკვეთილს.

მოსწავლეთა შეფასების თავისუფლების ნაწილში მასწავლებლებელთა აზრი ორად იყოფა. 1. არიან თავისუფლები და არც სკოლა, არც მშობელი მათზე არ ზემოქმედებს ნიშნის დაწერისას. 2. რადგანაც არსებობს ჯილდო წარჩინებული მოსწავლეებისთვის, მედლისა და კომპიუტერის სახით, მასწავლებლები განიცდიან გარკვეულ ზეწოლას:

„შევხვდი რამოდენიმე ბავშვს, რომელიც თურმე 10-ოსანია და მაქვს გარკვეული სახის მოთხოვნა სკოლიდანაც და მშობლისგანაც, რომ მას დავუწერო 10, რადგანაც უნდა აიღოს კომპიუტერი. მე ვესაუბრე მშობელს და ვუთხარი მას არ ეკუთვნის 10 და ნუ მიაჩვევენ ბავშვს იყოს ნიშანზე ორიენტირებული“.

გამოკითხულ მასწავლებელთა შორის არსებობს რამდენიმე მასწავლებელი, რომლებიც თვლიან, რომ ობიექტურები არიან შეფასების საკითხში და კითხვებზე:

მოსწავლეთა შეფასებისას, შეფასების რომელ ტიპებს და რუბრიკებს იყენებთ? არ ცნობენ არც შეფასების ტიპს და არც რუბრიკას:

„ ტიპს არ ვიყენებ“.

„მიყვარს სმაილებით შეფასების ტიპი.“

„რუბრიკა არ მსმენია, არც ვიყენებ, მე ვარ საუკეთესო შემფასებელი, ჩემზე უკეთ ვინ შეაფასებს“?!

და კითხვაზე: **თქვენი აზრით, რა განსხვავებაა 9-სა და 10 ქულას შორის და რა შემთხვევაში წერთ თითოეულს?** იგივე მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ განსხვავება არ არსებობს და ეს დამოკიდებულია იმაზე მოსწავლე ყოველდღეა მომზადებული თუ არა. ეს მაშინ, როცა სუბიექტურობას გამორიცხავენ და თვლიან, რომ შეფასებისას ობიექტურნი არიან.

ასევე განსხვავება შეინიშნება კერძო სკოლის მასწავლებლების პასუხებში, ნიშნის დაწერის კუთხით.

„მეტ-ნაკლებად ვარ თავისუფალი მოსწავლეთა შეფასების კუთხით. ნიშანზე არიან ორიენტირებულნი ძიითადად ბავშვებიც და მშობლებიც და სკოლაც ცდილობს არ აწყენინოს მშობლებს და მოითხოვს მასწავლებლისგან ნიშნის დაწერას.“

გამოკითხული მასწავლებლების ნაწილს ობიექურად შეფასებაში ეხმარება შეფასების რუბრიკები, თუმცა თვლიან, რომ სუბიექტურობისაგან მაინც არ არის დაზღვეული მასწავლებელი:

„რუბრიკებს ხშირად ვიყენებ შემაჯამებელი წერის დროს, ანალიტიკურს ძირითადად, ჰოლისტურს-ნაკლებად“.

„ვიყენებ პრეზენტაციის შეფასების რუბრიკას“.

„ვიყენებ პრეზენტაციის, დისკუსიისა და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკას“.

„თვითშეფასების რუბრიკას“.

„ვიყენებ ანალიტიკურ რუბრიკას“.

იმავე მასწავლებლებთან, (ვინც იყენებს შეფასების რუბრიკებს) მიმდინარე შეფასების საკითხში იჩენს თავს სუბიექტურობა, რადგანაც მოსწავლემ თუ არ იცის ერთ

დღეს კონკრეტული გაკვეთილი, მას არ უწერენ ნიშანს გამოსწორების მიზნით და სხვა დროს აფორმებენ მას:

„ვერცერთი მასწავლებელი ვერ აუვლის გვერდს სუბიექტურობას, რაცარუნდა იძახოს ობიექტური ვარო, ვერ იქნება ყოველთვის.“

„გამოსწორების შანსს მივცემ, ერთი კონკრეტული შემთხვევით არ განვსაზღვრავ ნიშნის დაწერას“.

„ხომ არის შემთხვევა, რომ ბავშვი კარგად სწავლობს და იმ გაკვეთილზე რაღაც მოხდა, რატომ უნდა დავუკარგო დანარჩენი და დავუწერო მიმდინარე შეფასება იმ ერთი შეთხვევით.“

„გარკვეულწილად სუბიექტურია მასწავლებელი, ყოველთვის ვერ იქნება ობიექტური“.

მართალია, მასწავლებლები ასახელებენ თეორიულად შეფასების რუბრიკებს, მაგრამ საინტერესო ისიც იყო ჩვენთვის პრაქტიკულად რამდენად იყენებენ ნიშნის დაწერისას აღნიშნულ რუბრიკებს. და კითხვებზე: რა განსხვავება არსებობს 9-სა და 10 ქულას შორის, რა შემთხვევაში წერთ თითოეულს? - ამ კითხვაზე მივიღეთ რამდენიმე განსხვავებული პასუხიც:

„იმ შემთხვევაში ვწერ 9-ს, როცა მოსწავლემ კარგად იცის, თუმცა დამაჯერებლობა აკლია“.

„ბლუმის ტაქსონომია მეხმარება ამ საკითხის გამიჯვნაში, თუ ბავშვს შეუძლია საკითხის შეფასება არგუმენტირებულად, მაშინ, ვთვლი, რომ ის იმსახურებს 10 ქულას“.

„აზროვნების მხრივ უნდა იყოს განვითარებული და აქ უკვე ის დაიმსახურებს 10 ქულას“.

„ახალი მასალის გაგება რამდენად შეუძლია, აი თუ უკვე ყვირის და ვხვდები რომ ჩემამდე ვიღაცამ აუხსნა ეს მიკარგავს მოტივაციას დავწერო 10, რადგან მე არ ვიცი ამ კონკრეტულის გასაგებად მას რამდენი დრო დასჭირდა. გარდა ამისა, 10-ოსანი არის რაღაც ტიტული, ზედმეტად შეგნებულობასთან და მოწესრიგებულობასთანაა კავშირში“.

შეფასების ბლოკის ბოლო კითხვა იყო შემდეგი: **ვინ არის მასწავლებელი თქვენთვის?** ძირითადად გამოკითხული მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მასწავლებელი მათთვის საგნის მცოდნეა, მაგრამ გარდა ამისა, არის:

„ვინც ობიექტურად აფასებს მოსწავლეებს და არ არჩევს ერთმანეთისაგან“.

„გზამკვლევი, ფასილიტატორი.“

„მეგობარი.“

„მედიატორი, რომელმაც საინტერესოდ უნდა მიიტანოს მასალა მოსწავლეებამდე“.

„პირველ რიგში ხელოვანი, მეთოდისტი, რომელსაც შეუძლია ბავშვის ინდივიდუალური მონაცემის ამოცნობა და შესაბამისად მასალის მიწოდება“.

თუ შევაჯამებთ, სწავლების ბლოკს და შევაფასებთ გამოკითხულ მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების ხარისხს სწავლების ნაწილში, მივალთ იქამდე, რომ **გამოკითხული მასწავლებლები სწავლების ნაწილში(სასწავლო მეთოდების შერჩევა, დამატებითი მასალის მიწოდება) თავისუფალნი არიან, ხოლო მოსწავლეთა შეფასების კომპონენტშია- არა,** რადგანაც ჩვენ სწავლების თავისუფლების ხარისხი შევამოწმეთ მეთოდების, დამატებითი მასალის შერჩევისა და შეფასების საკითხებზე კითხვებით, რითაც ვიღებთ შედეგს, რომ მასწავლებლებს არ ზღუდავს არც სკოლა და არც მშობლები დამატებითი მასალისა და მეთოდების შერჩევის საკითხში. რაც შეეხება შეფასების საკითხს, მასწავლებელთა ნაწილი თავისუფალია შეფასებისას და ნაწილი განიცდის ზეწოლას დირექციისა და მშობელთა მხრიდან. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო იყო აგრეთვე, თუ რაში გამოიხატებოდა შეფასების თავისუფლება, თავისი სურვილისამებრ ქულის დაწერაში თუ გარკვეული კრიტერიუმების არსებობაში. მივიღეთ განსხვავებული პასუხები, ზოგის შემთხვევაში შეფასებისას გარკვეულ კრიტერიუმებსა და რუბრიკებს იყენებდნენ, ზოგიც-პირადი დამოკიდებულებით წერდა ქულას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სუბიექტურობა, ობიექტურობას მაინც თან სდევდა, პასუხების მიხედვით.

- **კვლევა**

მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების განმსაზღვრელი კიდევ ერთი კომპონენტი გახლავთ კვლევითი კომპონენტი, რომ მას ჰქონდეს უფლება

დამოუკიდებლად, თავისუფლად განახორციელოს კვლევა და არ იყოს შეზღუდული შედეგების გამოქვეყნებისას. მასწავლებლებისთვის უფროსიდან წამყვანობამდე სტატუსის შეცვლის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ჩატარებაც, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს მათთვის, ვისაც სურს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მიღება.

პირველ რიგში, დავინტერესდით, მასწავლებელი ატარებს თუ არა კვლევას, რაში ხედავს პრაქტიკის კვლევის საჭიროებას, რაში ეხმარება პრაქტიკის კვლევა მას. პასუხების მიხედვით კი ვიგებთ, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა ძალიან მცირე ნაწილს (2 მასწავლებელს) აქვს ჩატარებული პრაქტიკის კვლევა. ისინი მიიჩნევენ, რომ კვლევის ჩატარება აუცილებელია, რადგანაც ეხმარება მასწავლებელს აღმოფხვრას სწავლების პროცესში წარმოშობილი ხარვეზები. ჩართულობა კვლევით პროცესში, პასუხების მიხედვით, იყო ძალიან დიდი, რადგანაც ორივე მასწავლებელი მიიჩნევს, რომ თუ მათ კვლევა მხოლოდ იმიტომ დაიწყეს, რომ სტატუსის შეცვლა უნდოდათ და არა ინტერესის გამო, შეიცვალა მათი წარმოდგენა კვლევის ჩატარების შემდეგ, რადგანაც ბევრი სასწავლო პრობლემის აღმოფხვრაში დაეხმარათ.

„თავიდან, როდესაც კვლევას ვიწყებდი, ვფიქრობდი, რომ რად გვინდა კვლევა, რა საჭიროა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ საჭიროა და თუ თავიდან მხოლოდ მოვალეობის მიზნით დავიწყე მისი კეთება, ახლა, პირიქით, ვთვლი, რომ ჩავატარებ მოვალეობის გარეშეც, რადგანაც ბევრ რამეში მეხმარება. აი მაგალითად, საგანს სწავლობდნენ, მაგრამ პრობლემა რა იყო, არ ჰქონდათ მისი ტრანსპერის დაკავშირების უნარი, ავიწყდებოდათ, ამიტომ მივხვდი, რომ ჩემი პრობლემაც ეგ იყო. გასვლითი გაკვეთილებითა და სახალისო ელემენტარული აქტივობებით ვეცადე ამ პრობლემის აღმოფხვრას. მაგალითად, სუნთქვა და პულსი ჰქონდათ გაკვეთილი, გავიყვანე ბუნებაში, ირბინეს და გაიზომეს პულსი, ბავშვებმა კი თქვეს, რომ ეს გაკვეთილი მათ არასოდეს დაავიწყდებოდათ.“

რაც შეეხება, მათი კვლევითი თავისუფლების საკითს, არ ჰქონიათ შეზღუდვა სკოლის მხრიდან, პირიქით, სკოლა მათ მხარში ედგა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის მიწოდების კუთხით.

მასწავლებლების ნაწილი, რომლებთანაც ჩაიწერა ინტერვიუ, არ მიიჩნევს, რომ

კვლევის ჩატარება არის აუცილებელი. ამის არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე მუდმივად ატარებს კვლევას, მოსწავლეზე დაკვირვების გზით, ამიტომ არ ხედავენ პრაქტიკის კვლევი ჩატარების აუცილებლობას.

„დიდ აუცილებლობას ვერ ვხედავ, რადგან ნებისმიერი პრობლემა კვლევის გარეშეც შეიძლება მოგვარდეს“.

„მე ვფიქრობ, რომ მასწავლებელი, რომელიც კლასში ათენებს და აღამებს ამ კვლევის წერა არ სჭირდება. ზუსტად იცის კონკრეტული ბავშვის მონაცემი თავისი დაკვირვებით. და ასეთ დროს, როცა გადართული ხარ კრედიტის მოპოვებაზე არ ხარ მასწავლებელი, ხარ რობოტი, რომელიც დგას და ანგარიშობს და ბოლომდე თვითონაც ვერ გაუაზრებია რას ანგარიშობს და შორდება კლასს, ბავშვს“.

ზოგიც, მათგან საპირისპიროდ, ფიქრობს, რომ კვლევა არ ჩაუტარებია, თუმცა მისი ჩატარება აუცილებელია და გეგმავს უახლოეს მომავალში. სკოლისგანაც აქვს ამის მოთხოვნა, რადგანაც სკოლას სურს კვალიფიცირებული კადრი. კვლევა კი მასწავლებელს ეხმარება:

„აუცილებელია ჩაატაროს, რათა გაიგოს მისი სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები და ასევე რა ასპექტი საჭიროებს გაუმჯობესებას“ .

„მასწავლებელს საკუთარი პრაქტიკის კვლევა ეფექტური სწავლებისთვის სჭირდება“.

„საჭიროა, რადგან ხელს შეუწყობს საკუთარი თავის წარმოჩენაში“ .

„განვითარებისთვის, უკუკავშირი საკუთარ თავთან“.

„იმის დანახვაში რა არის გამოსასწორებელი“.

კვლევის მეთოდებს რაც შეეხება, მხოლოდ ის მასწავლებლები ცნობენ და ასახელებენ კვლევის მეთოდებს, რომლებსაც კვლევა აქვთ ჩატარებული, ხოლო დანარჩენი - ვერ ასახელებს კვლევის მეთოდებს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმეტესობას არ აქვს ჩატარებული პრაქტიკის კვლევა და ვერც კვლევის მეთოდებში ერკვევა.

- **უსაფრთხოება და სამუშაო ვადები**

უსაფრხოებისა და სამუშაო ვადების შეთანხმების საკითხი ნებისმიერ სფეროში მნიშვნელოვანია, რადგანაც დასაქმებულს უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ის მუშაობს უსაფრთხო გარემოში და დასაქმებულია გარკვეული ან უვადო პერიოდით და არ დაირღვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებლი პუნქტები.

უსაფრთხოების საკითხში ჩვენ ვგულისხმობთ, უსაფრთხო გარემოს, სადაც მასწავლებლის ჯანმრთელობა იქნება დაცული. გარდა ამისა, მას უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ საფრთხე არ შეექმნება თავის საქმიანობას, თავისუფალი სიტყვის გამოხატვისა თუ პოლიტიკური ორიენტაციისდა გამო. შესაბამისად, კვლევის კითხვებიც ამ ბლოკში, ზემოთ აღნიშნულ, საკითხთა გარკვევას ემსახურება.

კითხვაზე: თვლით, რომ თქვენი ჯანმრთელობა და სიცოცხლე დაცულია სკოლაში, რა არის ამის მიზეზი?

გამოკითხული მასწავლებლებელთა ნაწილი გვპასუხობს, რომ მათი ჯანმრთელობა დაცულია სკოლაში, რადგანაც არის ისეთი გარემო, რომ არასოდეს შექმნიათ მსგავსი პრობლემა.

„ზედმეტადაც კი, არიან მანდატურები, იკეტება კარი ვერ გახვალ და ვერ შემოხვალ. შიგნითაც დაცულია, აი, დღეს ვფიქრობდი და რაღაცეებს ხომ ვისმენთ ხოლმე, დაჩაგრა მე-9-მ მე-5. აი, ასეთი რამ, გულწრფელად ვამბობ, არ მინახავს. ვერ ვიჯერებ, რომ იქ ვინმე ვინმეს დაჩაგრავს..... დამოკიდებულებები არის ძაან უშუალო დამრიგებელსა და მოსწავლეს შორის, მასწავლებელს, დირექტორს შორის. დირექტორი მუდმივ კოუნიკაციაშია“

„კი, კი, არაჩვეულებრივი გარემოა, მიუხედავად იმისა, რომ არაა სკოლა გარემონტებული ბოლო დონეზე, არც ისეა საქმე, რომ ფეხი რამეს წამოვკრა. ყველაფერია უსაფრთხო გარემოსთვის. არც უცხო პირი შემოვა“.

„სკოლაში უცხო პირი ვერ შემოვა და დაცული ვარ, შიგნიდანაც ასეა სკოლა მოწყობილი, რომ არ მეშინია რამე რომ დამეცემა თავში, თუმცა დაზღვეული არაფრისგან ვართ“.

კი, ვფიქრობ, დაცულია ადმინისტრაციის მიერ გატარებული ღონისძიებებით“.

მასწავლებელთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მათი ჯანმრთელობა მეტ-ნაკლებადაა

დაცული, რადგანაც არ არიან დაზღვეულნი ისეთი შემთხვევებისაგან, როდესაც მოსწავლეთა შორის რაიმე დაპირისპირებაში არ დაზიანდებიან, ან გათბობის პრობლემების, სიცხის გამო, არ შეექმნებათ გარკვეული სახის ჯანმრთელობის პრობლემები.

„მეგონა დაცული იყო, მაგრამ იმ დღეს ფილა რომ ჩამოვარდა და თავში დამეცა მივხვდი, რომ ასე ცალსახად ვერ ვიტყვი, შემთხვევითობაა ყველაფერი. არ არსებობს ჯანმრთელობის გარანტია“.

„არაა დაცული, რადგანაც შეიძლება დავინახო ჩემი მოსწავლე, ფანჯარასთან ახლოს მდგომი, რომელიც შეიძლება გადავარდეს, ალბათ გადავყვები მეც. ახლა ეს სცენა დამიდგა თვალწინ“.

„არაა დაცული, იმ დღეს ლამის ფეხი მოვიტეხე. ქუსლი ჩამეჭედა იატაკის ღრმულში“. „სითბოს პრობლემაა ზამთარში და ბევრჯერ შემექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, ამის გამო.“

„მოსწავლეები შეიძლება, ისეთი დაავადების მატარებელნი იყვნენ არ ხარ დაზღვეული, რომ დაცულია შენი ჯანმრთელობა, ბატონებიც გადამედო ამ ზამთარს“.

რაც შეეხება უკვე საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, ამ კუთხით, გამოკითხულ მასწავლებელთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სიტყვის გამოხატვის თავისუფლება კი აქვს, თუმცა თვითონ ერიდება დაპირისპირებას და ურჩევნია საკუთარი აზრი თავისთვის შეინახოს. ამის მიზეზად არ ასახელებენ არანაირი ზეწოლას, არც მასწავლებლის და არც დირექციის მხრიდან. მასწავლებელთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ თავისუფალი არ არის ნებისმიერი აზრის გამოხატვაში, რადგანაც განსხვავებული აზრი მიუღებელია, როგორც დირეექციის ასევე თანამშრომლებისთვის და ამიტომაც ვერ გრძნობენ კეთილგანწყობას თანამშრომლების მხრიდან, როგორც პროფესიული განვითარების , ისე განსხვავებული აზრისდა გამო.

„დირექცია და მოსწავლეები კეთილგანწყობილნი და თანამშრომლები - ნაკლებად. არ სიამოვნებთ აქტივობებს რომ ვაკეთებ და დირექცია მადლობას ამბობს საჯაროდ ამაზე“.

„დირექციისგან კი, მოსწავლისა და მშობლებისგან არა. არ სიამოვნებთ, როდესაც ამბობ იმას, რაც არ უნდა იყოს. ეს აღიზიანებთ და გადმოდიან აგრესიაზე“.

„ არ არიან კეთილგანწყობილნი. შურიანი კოლეგები მყავს, იმის ნაცვლად, რომ რაღაცა, როდესაც კეთდება სკოლაში შეგვაქონ და მიბაძონ ადამიანს, პირიქით, შურთ“.

„მაწავლებლებშია რაღაცა, რასაც შეიძლება ვუწოდოთ პროფესიული შური. რაც არ გამოგდის სხვისაც არ მოგწონს“.

„ნამდვილად არ არიან კეთილგანწყობილნი. ამის მიზეზი, ალბათ, ჩემი განსხვავებული დამოკიდებულებაა ხოლმე და მათი აზრის არ გაზიარება“.

გამოკითხული კერძო სკოლის მასწავლებლები კი, განსხვავებით საჯარო სკოლის მასწავლებლებისგან, აღნიშნავენ, რომ სიტყვის გამოხატვის თავისუფლება არ აქვთ და განიცდიან გარკვეული სახის ზეწოლას დირექციის მხრიდან.

„კი, განმიცდია დირექციისაგან, აუკრძალავთ შბობლებთან კონტაქტი და კომუნიკაცია, მათ გარეშე“.

რაც შეეხება მომდევნო საკითხს, **სამუშაო ვადების შეთანხმებას, და შრომითი ხელშეკრულების დარღვევას,** საჯარო სკოლის მასწავლებლების შემთხვევაში, არ არის დარღვეული შრომითი ხელშეკრულების არცერთი პუნქტი, კერძოსგან განსხვავებით. გამოკითხული კერძო სკოლის მასწავლებლები დარღვევაში მოიაზრებენ ხელფასის დაგვიანებას.

„სამწუხაროდ კი, ხელფასებს აგვიანებენ“.

„ხელფასების გამო, აგვიანებენ და მინდოდა კიდეც ამის გამო წასვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, შუა სემესტრში რთულია სხვა რამის პოვნა“.

რაც შეეხება გარანტიას, იმასთან დაკავშირებით, შეწყდება თუ არა მათი შრომითი ხელშეკრულება რაიმე მიზეზით, მასწავლებლები **კითხვაზე: გაქვთ იმის გარანტია, რომ დასაქმებული ხართ დიდი ხნით და არ შეწყდება თქვენი ხელშეკრულება, თუნდაც თქვენი პოლიტიკური ორიენტაციის, დირექტორთან ან რომელიმე თანამშრომელთან პირადი დაპირისპირების გამო?** ის მასწავლებლები, რომლებიც ვერ გრძნობენ კეთილგანწყობას სკოლის დირექციის ან მასწავლებელთა მხრიდან, გვპასუხობენ შემდეგს: *„გარანტია არაფრის არ მაქვს, კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ თანამშრომლები არ არიან*

კეთილგანწყობილნი და არ გამიკვირდება რაიმე ინტრიგა, არც პოლიტიკური ორიენტაციის გამო გამიკვირდება, მიუხედავად იმისა, რომ ნეიტრალური ვარ ამ საკითხში. გავიხსენებ ერთ ფაქტს, წინა ხელისუფლების დროს, ერთ-ერთ მასწავლებელს ნამდვილად დაატოვებინეს სამსახური, ქმრის პოლიტიკური ორიენტაციის გამო.“

„ნამდვილად არ მაქვს გარანტია, შეიძლება ახლაც მივიდე და რამე შარი მომდონ, დამატოვებინონ სამსახური“.

„გარანტია არაფერზე არ არსებობს“.

„არა, არა, წინა სკოლაში დაპირისპირება მომივიდა პარალელი კლასის მასწავლებელთან, რომელიც იყო დირექტორის ნათესავი და ვემსხვერპლე მე მას, ასე გამოდის. იანვრამდე ვერ გამომიშვეს, ვერ დაარღვიეს ხელშეკრულება. მეორე სემესტრიდან კი, მიზეზის გარეშე, გამომიშვეს. მშობლების მოთხოვნამაც არ გაჭრა, რომ დავრჩენილიყავი, მაგრამ დირექტორმა ისე გააკეთა. მიზეზად მომიდო თითქოს ვერ ვასრულებდი ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც აისახებოდა თემატურებში, სილაბუსებში. რეალურად ყველაფერი მქონდა ჩაბარებული“.

მასწავლებელთა მეორე ნაწილი, კი მიიჩნევს, რომ ამ კუთხით, მათ აქვთ გარანტია, რადგანაც აპოლიტიკურები არიან. ერიდებიან ყოველთვის კონფლიქტებს და აკეთებენ თავიანთ საქმეს მშვიდად.

„ვთვლი, რომ, ამ კუთხით, მაქვს გარანტია და დაცული ვარ“.

„ნამდვილად მაქვს გარანტია“.

„არაპოლიტიკური ვარ, არ ვერევი პოლიტიკაში“.

„დიახ, მაქვს“.

„ჩემს საქმეს ვაკეთებ ისე, როგორც საჭიროა და მაქვს კიდეც“.

„სრულებით, სანამ მე არ მენდომება წასვლა“.

„გამოცდა ჩაბარებული მაქვს და ვინ გამაგდებს, ესაა გარანტია ჩემთვის“.

„ალბათ, ჯერ 19 წელია ვასწავლი და ამის საფრთხე არ შემქმნია“.

„მაქვს ნამდვილად, თუ ჩემს მოვალეობას შევასრულებ რატომ უნდა შემექმნას პრობლემა“.

„მაქვს კი“.

ამ ყოველივედან გამომდინარე, კი შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლების სიტყვის თავისუფლება არაა დაცული სკოლაში და ვერც იმ მასწავლებელთა პასუხებით ვიტყვით დაცულიაო, რომლებიც ამბობენ, რომ ურჩევნიათ სხვათა ინტერესების წინააღმდეგ არ წავიდნენ. შესაბამისად, ამ ყოველივეს გათვალისწინებით, გამოკითხული მასწავლებლებისთვის გარემო, რომელშიც მუშაობენ არაა უსაფრთხო.

- **სკოლის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება**

ზოგადი განათლების კანონის მიხედვით, ვიცით, რომ მასწავლებელს აქვს სკოლის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება. სამეურვეო საბჭო არის სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანო. სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული არანაკლებ 6 და არაუმეტეს 12 წარმომადგენლისაგან და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან. მასში წარმომადგენლის წარგზავნის უფლება აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სათათბირო ხმის უფლებით. სამეურვეო საბჭოს ფუნქციებია: სკოლის დირექტორის არჩევა, დირექციის წარმოდგენილი ბიუჯეტის დამტკიცება, დირექციის მიერ ფინანსებისა და სასკოლო ქონების კარგვის კონტროლი, სკოლის შინაგანაწესის დამტკიცება და სხვა. (იხ. კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თავი VII). შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მეშვეობით, მასწავლებელს აქვს სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება, მაგრამ საინტერესოა, რამდენად დამოუკიდებელი ორგანოა სამეურვეო საბჭო და აქვთ თუ არა მასწალებლებს რეალურად დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უფლება.

კითხვაზე: **რას ფიქრობთ, სამეურვეო საბჭო თავისუფალი ორგანოა სკოლის დირექციისგან?** ვიღებთ შემდეგ პასუხებს:

„არა, რადგან სკოლის დირექცია, ვფიქრობ, ავალებს მას, გარკვეულ მითითებებს აძლევს“.

„თავისუფალია კი, მე თვითონ ვარ თავმჯდომარე „.

„იდეურად კი, რეალურად-არა“.

„სამეურვეო საბჭო არაა თავისუფალი. არაფერი წყდება ისეთი, რაც დირექციასთან არაა გარკვეული“.

„თავისუფალია კი, არანაირი ზეწოლა არაა“.

„არის, რა თქმა უნდა, თუმცა სკოლაზეა დამოკიდებული რამდენად აძლევს მათ თავისუფლებას“.

„რა თქმა უნდა, არაა თავისუფალი. არაფერი გადაწდება სკოლის დირექციისაგან დამოუკიდებლად, ლომის წილი მას ეკუთვნის“.

არა, რა თქმა უნდა“.

„არა, მე თვითონ ვარ წევრი და ვარ ამის მომსწრე, რომ არაა თავისუფალი“.

„თავისუფალი? არა, რა თქმა უნდა, ყველაფერს დირექტორი წყვეტს, ფორმალობაა ეგ“.

„არ ვიცი, მაგ საკითხზე ვერაფერს გეტყვით.“

„კი, თავისუფალია“.

„კი, მე მჯერა. რომ თავისუფალია“.

„თავისუფალია ნამდვილად“.

გამოკითხული მასწავლებლებიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა სამეურვეო საბჭოს წევრი და ერთიც - თავმჯდომარე. პირველის შემთხვევაში, სამეურვეო საბჭო თავისუფალი ორგანოა, მეორე კი თვლის, რომ არაა თავისუფალი. თავისუფლების ხარისხი ჩვენთვის აშკარა, მას შემდეგ, რაც სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მასწავლებელი კითხვებზე: **რამდენად თავისუფალი ხართ გადაწყვეტილების მიღების დროს? ყოფილა შემთხვევა, სამეურვეო საბჭოს რომელიმე სდომაზე ვერ გაგიკეთებიათ ის, რაც თქვენ მიგაჩნდათ სწორად?** *პასუხობს შემდეგს:*

„თავისუფალი კი ვარ, მაგრამ მე საქმის კურსში ვაყენებ დირექციას, თუმცა თვითონ არ მთხოვენ, დამოუკიდებლად ჩემს თავზე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას.“

„არა, ჩემს დირექტორს თვალდახუჭული ვენდობი და ვიცი ის უკეთ მიიღებს გადაწყვეტილებებს.“

რითაც ნათელი ხდება, რომ მასწავლებელი განიცდის თვითცენზურას. მეორე გამოკითხული მასწავლებელი კი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, იმავე კითხვებზე პასუხობს შემდეგს:

„დიახ, ვერ გამიკეთებია, რაღაც საჩუქრებისთვის სურდათ თანხის გამოყოფა საახალწლოდ, იმჟამად კი სხვა უფრო მეტი საჭიროება ჰქონდა სკოლას და რომ ამოვთქვი ეს, არ ესიამოვნათ. არჩევნებიც ნაკლებად გამჭვირვალედ ჩატარდა, მაგალითად, არც არავის უთქვამს ვინ უნდა ყოფილიყო წევრი ან თავმჯდომარე. წინა დღეს რომ ვიკითხეთ, გაბრაზებით შეხვდნენ და გაღიზიანებით გვიპასუხეს“.

დანარჩენი მასწავლებლები კი, რომლებიც არც სამეურვეო საბჭოს წევრები არიან და არც თავჯდომარენი, კითხვაზე: **რამდენად გაწვდით ინფორმაციას სამეურვეო საბჭოს სხდომების შესახებ, სამეურვეო საბჭოში თქვენი წარმომადგენელი მასწავლებელი?** ყველა, გარდა ერთისა, პასუხობს, რომ არ აწვდის ინფორმაციას არც თავმჯდომარე და არც მასწავლებელი. შესაბამისად, გამოკითხულთა პასუხების მიხედვით, მასწავლებლები სასკოლო მმართველობით საკითხებში მონაწილეობის მიღების უფლებით არ სარგებლობენ, ან პირიქით, სარგებლობენ, მაგრამ გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ მაინც დამოუკიდებლად.

საინტერესოა, ის გარემოებაც, რომ მასწავლებლები, რომლებმაც ინტერვიუს დასაწყისში აკადემიური თავისუფლება დაუკავშირეს სიტყვის თავისუფლებას, განიცდიდნენ შემდგომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას და არაკეთილგანწყობით დამოკიდებულებას, როგორც დირექციის, ასევე თანამშრომელთა მხრიდან. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, შედეგად ვიღებთ, რომ შიდა ქართლის ზოგადსაგანმანათებლო სკოლის გამოკითხულ მასწავლებლებს სასკოლო მმართველობით საკითხებში არ აქვთ აკადემიური თავისუფლება.

ხოლო ინტერვიუს ბოლოს, გვქონდა კითხვები: **ყველაზე მეტად თქვენთვის აკადემიური თავისუფლება არის..... რას შეცვლიდით აკადემიური თავისუფლების განვითარების კუთხით?**

„ყველაზე მეტად აკადემიური თავისუფლება არის ვიყო ჩემს გაკვეთილზე ყველაფრის მმართველი“.

„განვითარების კუთხით ისაა მთავარი, რომ შესაძლოა სკოლა გაძლევდეს აკადემიურ თავისუფლებას, მაგრამ ვერ იყენებდნენ მასწავლებლები და დაგვცინიან კიდევაც, როგორ შეიძლება სკოლის ეზოში გაკვეთილის ჩატარება.“

„სწავლების მხრივ გავიდე შედეგზე. იყვნენ უფრო თავისუფლები, მივხვდი იმას, რომ 21-ე საუკუნეა და უნდა ვიმუშავოთ იმ სტილით, რომ მეტად მრავალფეროვანი სტრატეგიები გამოვიყენოთ და არ იყოს ეს ძველი სწავლება, რადგან ამას ბავშვი არ შეეგუება.“

„ჩემი, როგორც მასწავლებლის, ყველა უფლება იყოს დაცული და არ მქონდეს იმის შიში, რომ მე სამუშაოს დავკარგავ“.

„აკადემიური თავისუფლებისთვის მე სკოლებიდან მჭირდება მხარდაჭერა ეფექტურად მივაწოდო მოსწავლეებს ინფორმაცია, ამისთვის საჭიროა გამართული კომპიუტერული წვდომა და მეტი კომუნიკაცია მშობლებთან“ .

„ჩემთვის მნიშვნელოვანია არ ვიყო შეზღუდული გაკვეთილის ახსნის დროს, პარალელები გავავლო სხვადასხვა პიროვნებებზე, ეს შესაძლოა არ იყოს სხვისთვის სასიამოვნო.“

ვთვლი, რომ ყველაფერი იდეალურადაა და არ საჭიროებს შეცვლას არაფრისას“.

„მუშაობა ისეთ გარემოში, სადაც შეგიძლია იყო თავისუფალი გაკვეთილის პროცესში და გქონდეს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი მიზნის მისაღწევად“.

„მასწავლებელს თავისუფლად უნდა შეეძლოს მონაწილეობა სწავლებასა და დისკუსიაში, საკუთარი აზრის გამოხატვა იმ სისტემის შესახებ, რომელშიც ის მუშაობს. ის დაცული უნდა იყოს.“

„ჩემთვის აკადემიური თავისუფლება უფრო მეტად მაინც სწავლების კომპონენტს უკავშირდება. რაც შეეხება განვითარებას, ვერ განვითარდება თუ ადამიანის შეგნება არ შეიცვალა იმ კუთხით, რომ მიმღებლობა გააჩნდეს განხვავებული შეხედულების და კონკურენტად, „ბუად“, კი არ ჩათვალოს თავისი კოლეგა, არამედ მიეცეს სტიმული, რომ კონკურენციამ გაზარდოს მეტად“.

„ყველაზე მთავარია გაკვეთილზე მქონდეს თავისუფლება“.

„სწავლებისა და შეფასების საკითხში თავისუფლებას ვთვლი აკადემიურ თავისუფლებად“.

„სწავლების თავისუფლება. ყველაფერში ჩავრევ ყველას, მაგრამ სწავლება და ჩემი გაკვეთილი მხოლოდ ჩემია.“

„ჩემთვის ყველაზე მეტად აკადემიური თავისუფლება არის ის, რომ მასწავლებელი მიჰყვეს სასწავლო გეგმას და დაიცვას თავისი უფლებები. გამოვთქვამ სურვილის, რომ ბევრი ტრენინგი ჩაგვიტარონ და უფრო მეტი ინფორმაცია მოგვაწოდონ ამ კუთხით, შევცვლიდი ამას“.

როგორც პასუხებიდან ვიგებთ, მასწავლებელთა უმრავლესობისთვის ყველაზე მეტად აკადემიური თავისუფლება სწავლების ნაწილს უკავშირდება. აკადემიური თავისუფლების განვითარების კუთხით კი, მიიჩნევენ რომ შესაცვლელია ის, რომ ამ საკითხში არ არიან ინფორმირებული მასწავლებელნი და საჭიროა ტრენინგები. მეორე მხრივ, მასწავლებლები აკადემიურ თავისუფლების განვითარებას თავად მასწავლებელში ხედავენ, რადგან, შესაძლოა, სკოლა მათ აძლევდეს თავისუფლებას, თუმცა თვითონ არ იყენებდნენ მას.

დასკვნები

კვლევის ჰიპოთეზა - გამოკითხულ მასწავლებლებელთა უმრავლესობისთვის ტერმინი უცხოა და უჭირთ აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვრა - გამართლდა ნაწილობრივ, რადგანაც გამოკითხული მასწავლებლები ამბობდნენ, რომ მათ ეს ტერმინი პირველად ესმით და არც კი იცოდნენ აქამდე. ბევრმა ინტერვიუზე უარი სწორედ თემის სახელწოდებისდა გამო განაცხადა, რადგანაც არ იცოდნენ რაზე უნდა ესაუბრათ. თუმცა ვერ ვიტყვით ასე ცალსახად, რომ მასწავლებლებს გაუჭირდათ აკადემიური თავისუფლების შინაარსის განსაზღვრა, რადგანაც განმატებისას უმრავლესობამ დაასახელა აკადემიური თავისუფლების განმსაზღვრელი პრინციპები.

- **სწავლება**

კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ შიდა ქართლის რეგიონის სკოლების გამოკითხული მასწავლებლები თავისუფალნი არიან სასწავლო მეთოდებისა და სასკოლო დამატებითი მასალის შერჩევაში (თუმცა რამდენიმეს სწავლების მეთოდი სწავლების ტექნოლოგიაში ერევა. ზოგიც კი სწავლების მეთოდებს ვერ ასახელებს). მათ არ ზღუდავს ამ საკითხში არც სკოლა და არც მშობელი, თუმცა ნაწილი თავისივე სურვილით, არ იყენებს დამატებით მასალას და შემოიფარგლება მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოდან მიიღებული ინფორმაციის გადაცემით მოსწალეებისათვის.

საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვაშიც თავისუფლები არიან მასწავლებლები, თუმცა შეინიშნება განსხვავება საგნების მიხედვით. გამოკითხული დაწებითი საფეხურისა და ინგლისურის მასწავლებებლები სწავლების პროცესში იყენებენ მასწვლებლის წიგნებს და არა საკუთარ მეთოდებს, რადგან იქ ყველაფერი კარგადაა ახსნილი და არ საჭიროებს, მათი ხედვით, მასალის გადაცემას მოსწავლეთათვის. ისტორიისა და მათემატიკის მასწავლებლები არ იყენებენ მასწავლებელთა წიგნებს, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის და ბიოლოგია-გეოგრაფიის მასწავლებლები იყენებენ საჭიროებისამებრ.

ერთადერთი კომპონენტი სწავლების ნაწილში, რაშიც გამოკითხული მასწავლებლები თვლიან, რომ არ არიან თავისუფალნი, არის შეფასება. შეფასების

საკითხში მასწავლებლები განიცდიან ზეწოლას მშობლისა და დირექციის მხრიდან, რომლის ძირითადი მიზეზი არის კომპიუტერისა და მედლის აღება.

- კვლევა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კვლევით კომპონენტში გამოკითხული მასწავლებლები თავისუფალნი არიან, რადგანაც ვისაც ჩატარებული აქვს პრაქტიკის კვლევა, არ ჰქონია არანაირი შეზღუდვა სკოლის დირექციის მხრიდან, არც კვლევით პროცესში და არც შედეგების გამოქვეყნებისას, პირიქით, სკოლა მათ დახმარებას უწევდა ტექნიკურ-მატერიალური რესურსით. რაც შეეხება იმ მასწავლებლებს, რომელთაც არ აქვთ პრაქტიკის კვლევა ჩატარებული, მათაც არანაირი შეზღუდვა არ აქვთ სკოლიდან, პრობლემა მათშია, რადგან თავად არ მიიჩნიათ კვლევის ჩატარება აუცილებლობად. საინტერესოა, სკოლამ რომ მასწავლებლებს დაანახოს კვლევის მნიშვნელობა სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობით, იტყვიან კი იმავეს?

- უსაფრთხოება და სამუშაო ვადები

გამოკითხული მასწავლებლების ნაწილი სკოლაში თავს გრძნობს უსაფრთხოდ და თვლის, რომ მათი ჯანმრთელობა დაცულია, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ - არა. უსაფრთხოების მაჩვენებელი ასევე იკლებს მაშინ, როდესაც მასწავლებელი, განსხვავებული აზრის გამოხატვისდა გამო, არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას გრძნობს თანამშრომელთა და სკოლის დირექციის მხრიდან, რაც იწვევს იმას, რომ დიდი ხნით დასაქმების გარანტია არ აქვს მას. არსებობს განსხვავება კერძო და საჯარო სკოლების გამოკითხულ მასწავლებლებს შორის, შრომითი ხელშეკრულების დარღვევის საკითხთან მიმართებით. გამოკითხულ საჯარო სკოლის მასწავლებლებს არასოდეს დარღვევიათ შრომით ხელშეკრულება, ხოლო კერძო სკოლის მასწავლებლებს მუდმივად უგვიანებენ ხელფასს.

- სკოლის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება

ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხული მასწავლებლები არ არიან თავისუფალი სასკოლო მმართველობით საკითხებში, რადგანაც უმრავლესობის აზრით, სამეურვეო საბჭო არაა თავისუფალი ორგანო და სამეურვეო საბჭოს არჩევნები არ ჩატარებულა გამჭვირვალედ. ის მასწავლებლები კი, რომლებიც სამეურვეო საბჭოს წევრ/თავმჯდომარენი არიან თავისუფლად ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს.

შესაბამისად, თუ შევაჯერებთ თითოეულ კომპონენტს მივიღებთ საბოლოო დასკვნას, რომ შიდა ქართლის რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გამოკითხულ მასწავლებლებიდან არცერთი არაა ისეთი, რომელიც აკადემიური თავისუფლების ყველა კომპონენტშია თავისუფალი, აკადემიური თავისუფლება ძირითადად გამოიხატება სწავლების ნაწილში.

რეკომენდაციები

- ✓ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნება მასწავლებლის აკადემიური თავისუფლების შეტანა ზოგადი განათლების კანონის ტერმინთა განმარტებით ნაწილში, კერძოდ, პირველი თავის მე-2 მუხლში.
- ✓ სასურველია, განათლების ექსპერტთა მიერ, შემუშავდეს დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლების საკითხები. ეს საკითხები კი, კონკრეტული მუხლის სახით, ჩაიდოს ზოგადი განათლების კანონში.
- ✓ ნიშნის დაწერის გამო, მასწავლებელთა მიმართ ზეწოლის თავიდან ასაცილებლად, უკეთესი იქნება, მედლისა და კომპიუტერის მიღების მსურველთა მუდმივი მონიტორინგი ხდებოდეს განათლების სამინისტროს მხრიდან და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ მასწავლებლის მიერ დაწერილ ქულაზე.
- ✓ აუცილებელია, მასწავლებლებს ჩაუტარდეთ სხვადასხვა სახის ტრენინგი კვლევითი პრაქტიკის კუთხით.
- ✓ საჭიროა, სკოლების რეაბილიტაცია უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის.
- ✓ უნდა გადაიხედოს კერძო სკოლის მიერ დადებული ხელშეკრულებები რამდენად კანონიერია და არ არღვევს შრომით კოდექსს.
- ✓ საჭიროა, გამკაცრდეს მონიტორინგი სამეურვეო საბჭოს პრაქტიკული მუშაობის საკითხთან მიმართებით და განათლების სამინისტოს მიერ გაგზავნილი პირი აუცილებლად ესწრებოდეს სამეურვეო საბჭოს სხდომებს.
- ✓ მნიშვნელოვანია, დაცული იყოს მასწავლებელთა სიტყვის თავისუფლება და დირექცია არ ერეოდეს ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც არ წამოადგენს მათ კანონიერ ვალდებულება-მოვალეობას.

- ✓ უკეთესი იქნება თუ მასწავლებლები, თუნდაც ფსიქოლოგის დახმარებით, იმუშავებენ თვითცენზურის დაძლევაზე, გაიაზრებენ საკუთარ პასუხისმგებლობას, დაიცავენ თავიანთ უფლებებს და სინდისიერად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოქსაძე.კ., ფილოსოფიური ლექსიკონი (მე-4 გამოცემა), 1987, თბილისი, საბჭ.საქართველო, 727 გვ;

2. დვალი, გ., კონცეფცია -აკადემიური თავისუფლება, „ლიბერალი“, 2012, 113, 18-26;

3.ეროვნული სასწავლო გეგმა

http://ncp.ge/files/ESG/2016-2021/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A-%E1%83%98%20%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%92-%202017-2023.pdf;

4.ვასაძე.ნ., განათლების ისტორია, თბილისი, 1988, 155 გვ;

5.ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0 ;

6.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეკლარაცია უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ

http://www.mes.gov.ge/content.php?id=4682&lang=geo;

7.საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ

http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf;

8.საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

http://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%9-0%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%

E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-
%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98..pdf;

9.მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი

http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/maszavleblis_eTikis%20kodeqsikodeqsi.pdf;

10.მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2302168?publication=0;

11. ჩიქობავა. ა., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი(ერთტომეული),1986, თბილისი, ქართული საბჭთ.ენციკლოპედიის მთ.სამეცნიერო რედაქცია, 592 გვ;

12.ჭკუასელი.ქ., ჭკუასელი.ი., პედაგოგიკის შესავალი, თბილისი, 2012, 255 გვ.

13.Academic freedom in Europe

https://link.springer.com/article/10.1057/palgrave.hep.8300159;

14.International Enciklopedia of Education

file:///C:/Users/Vaime/Downloads/International%20Encyclopedia%20of%20Education,%208-Volume%20Set,.pdf;

15. Recommendeed institucional regulations on academic freedom and Tenure 2018

https://www.aaup.org/report/recommended-institutional-regulations-academic-freedom-and-tenure

16. Statement of principles on academic freedom and Tenure 1940

https://www.aaup.org/report/1940-statement-principles-academic-freedom-and-tenure;

17.http://mastsavlebeli.ge/?p=3638

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Mekhrishvili Meri

Study of Academic Freedom of teachers of secondary school

(On the example of public and private schools in Shida Kartli region)

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Ketevan Chkuaseli

TSU Professor of the Faculty of Psychology and Education Sciences,

Doctor of Pedagogic Sciences

Tbilisi

2019

დანართი 2

კითხვარი

აკადემიური თავისუფლება - მასწავლებლის უფლება დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება და კვლევა, გარდა ამისა, აკადემიური თავისუფლება მისი პრინციპების მიხედვით, გულისხმობს მასწავლებელთა უსაფრთხოების დაცვასა და სამუშაო ვადების შეთანხმების, სკოლის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლებას.

1. რა არის თქვენთვის აკადემიური თავისუფლება და რას მოიაზრებთ აკადემიური თავისუფლების შინაარსში?

სწავლება და შეფასება

1. რა არის თქვენი მთავარი მიზანი სწავლების პროცესში?

2. კონკრეტულ შედეგზე გასასვლელად მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოს იყენებთ თუ დამატებით მასალასაც?

3. დამატებითი მასალის მიწოდებაში გძღუდავთ სკოლა, მშობლები?

4. სწავლების მეთოდების შერჩევაში თავისუფალი ხართ?

5. ჩამომითვალეთ, მეთოდები რომლებსაც იყენებთ სწავლების პროცესში.

6. რა მიზნით იყენებთ მასწავლებელთა წიგნებს?

7. მასწავლებლის წიგნი გირჩევნიათ გამოიყენოთ კონკრეტული გაკვეთილის დასაგეგმათ თუ თქვენი შერჩეული მეთოდებით გადიხართ შედეგზე?

8. მოსწავლეთა შეფასების საკითხში, თავისუფალი ხართ?

9. მოსწავლეთა შეფასებისას რა კრიტერიუმება და რუბრიკებს იყენებთ?

10. რა განსხვავებაა 9-სა და 10 ქულას შორის?

11. გზღუდავთ თუ არა მიმდინარე შეფასების საკითხი მოსწავლეთა ობიექტურად შესაფასებლად?

12. ვინ არის მასწავლებელი თქვენთვის?

კვლევა

1. რამდენად ხშირად ატარებთ კვლევას და კვლევის რომელ მეთოდებს იყენებთ (თუ არ ატარებს რა არის ამის მიზეზი)?

2. თქვენი აზრით, რამდენად საჭიროა მასწავლებელმა ჩაატაროს კვლევა, რატომ?

3. რაში ეხმარება მასწავლებელს საკუთარი პრაქტიკის კვლევა?

4. სკოლის მხრიდან გაქვთ ხელშეწყობა კვლევის ჩატარებისას? რა ფორმით?

უსაფრთხოება და სამუშაო ვადები

1. თვლით, რომ თქვენი ჯანმრთელობა და სიცოცხლე დაცულია სკოლაში? რა არის ამის მიზეზი?

2. თვლით, რომ თავისუფალი ხართ სკოლაში ნებისმიერი აზრის გამოხატვაში?

3. განგიცდიათ ოდესმე გარკვეული სახის ზეწოლა მოსწავლისგან|მშობლისგან ან თუნდაც დირექციისგან?

4. თქვენ მიმართ, რამდენად კეთილგანწყობილნი არიან თანამშრომლები, მოსწავლეები, დირექცია?

5. დარღვეულა თქვენი შრომითი ხელშკრულების რომელიმე პუქტი ოდესმე?

6. გაქვთ იმის გარანტია, რომ დასაქმებული ხართ დიდი ხნით და არ შეწყდება თქვენი ხელშეკრულება, თუნდაც თქვენი პოლიტიკური ორიენტაციის, დირექტორთან ან რომელიმე თანამშრომელთან პირადი დაპირისპირების გამო?

სკოლის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება

1. ხართ სკოლის დირექციის ან სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე|წევრი?

2. როგორ ფიქრობთ, სამეურვეო საბჭო თავისუფალი ორგანოა სკოლის დირექციისგან?

(თუა რომელიმეს წევრი) რამდენად თავისუფალი ხართ გადაწყვეტილების მიღების დროს?

3. ყოფილა შემთხვევა, სამეურვეო საბჭოს რომელიმე სდომაზე ვერ გაგიკეთებიათ ის, რაც თქვენ მიგაჩნდათ სწორად?

4. თუ არ ხართ სამეურვეო საბჭოს წევრ-თავმჯდომარე, დირექციის წევრი, სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მიგიღიათ მონაწილეობა?

5. რამდენად გამჭვირვალედ ჩატარებულა არჩევნები?

6. კანდიდატების არჩევაში თავისუფალი იყავით?

7. რამდენად გაწვდით ინფორმაციას სამეურვეო საბჭოს სხდომების შესახებ, სამეურვეო საბჭოში თქვენი წარმომადგენელი?(თუ წევრია, რამდენად აწვდით ინფორმაციას მასწავლებლებს?)

ბოლოს, მითხარით, რა არის ყველაზე მეტად თქვენთვის აკადემიური თავისუფლება, რას შეცვლიდით ამ თვალსაზრისით აუცილებლად?.....